



საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 52

დ ე კ ი მ ბ ე რ ი 15 1896 წ.

№ 52

შინაარსი: მართებლობის მიერ გამოცხადება. — ორი ახალი წრე ტ — ო. — სხვა-და-სხვა ამბავი. — სად არის სამშობლო ვაჭარს? პ. ჭ — ია. — ბ — ს. ლექსი დუტუ მეგრელისა. — შენიშვნა ფოთის მომავალ უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკაზე თ. კიკვაძისი. — ჩვენებური ფუნქტი, ლექსი ბ. დავითაშვილისა. — ვაჟა-ფშაველას პოეზია, (დასასრული) ი. ნაკაშიძისა. — უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში, (შემდეგი) საზღვარგარეთელისა. — უცხოეთის ამბები და განცხადებანი.

„კვალის“ ტკანასკნელი (5) ნომერი გამოვა შობა დღეს.

მართებლობის მიერ გამოცხადება.


(„Правит. Вѣст.“ № 215).

მიდი ხნიდან რუსეთის სახელმწიფოს უნივერსიტეტებში სტუდენტები აღგენენ წრეებს. წარმომადგენელნი ერთი რომელიმე გიმნაზიისა ან ეროვნებისა ცალ-ცალკე აღგენდნენ წრეებს უნივერსიტეტში. ახალი შესულები უნივერსიტეტებში ეძებდნენ თავიანთ უფროს ამხანაგებს გიმნაზიებიდან, თავის თანამემამულეთ (земляковъ) და მიემხრობოდნენ იმათ წრეს („землячеству“¹⁾), რომელსაც ჩვეულებრივთ თავისი შესაფერი სახელი ერქვა, მაგ., „რიაზანის წრე“ (рязанское землячество), ორლოვის, ციმბირის, უკრაინის, საქართველოს და სხვ. ამ წრეებს თავდაპირველათ მხოლოდ მატერიალური დახმარება ჰქონდათ მხედველობაში და ამ მიზნით აარსებდნენ

კასებს, მართედენ ხელის-მოწერას, ლატარიებს, სალამოებს და შეგროვილ ფულს ან სესხათ აძლევდნენ თავიანთ ღარიბ ამხანაგებს ან და ისე ეწეოდნენ. რამდენსამე ხანს შემდეგ, ზოგიერთ უნივერსიტეტებში წრეებმა გააფართოვეს თავისი პროგრამა, ე. ი. მატერიალურ დახმარებას გარდა ხელი მიჰყვეს თვით განვითარებასაც. გაჩნდნენ „თვით განვითარების წრეები“; ხსენებულ ნიადაგზე ზოგიერთ წრეებმა ცალმხრივი მიმართულება გამოიჩინეს მით, რომ განსაკუთრებით სოციოლოგიის და ახალ პოლიტიკურ-ეკონომიური თეორიების შესწავლას მოანდომეს თავის ძალ-ღონე. ყველა ამ მიმართულების წრეებმა ცოტა ხანში მიმართეს თანამედროვე რევოლუციონურ მოძღვრებათა შესწავლას, ცენზურის მიერ აკრძალულ თხზულებათა ფარულათ დაბეჭდალ წიგნების კითხვას და შემდეგში, ცოტათ თუ ბევრათ თითონაც იწყეს თანაგრძნობის გამოცხადება რევოლუციონურ მოძრაობისადმი, შემწეობის აღმოჩენა პოლიტიკურ ტუსაღათა და ციხეებში გაკზენილთა სასარგებლოდ („красный крестъ партыи народной во-

189

1) სიტყვა „землячество“-ს ქართულ ენაზე ზეკნ ვერ გამოვიწვინათ სხვა შესაფერი ტერმინი გარდა „წრისა“.



II*) და ბოლოს ამ წრეების წევრები გახდნენ ნამდვილ რევოლუციონერებათ.

ამ ხანებში წრეების სახსრის გასაძლიერებლათ დაიბადა ის აზრი, რომ ცალკე ჯგუფთა საშუალებანი შეეერთებიათ ერთ საზოგადო კასაში, რომელიც უნდა ეწარმოებინა წრეებისაგან არჩეულ დეპუტატთა გამგეობას და რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებია წრეების წევრთა მოთხოვნები და დაეცვა სტუდენტების საერთო ინტერესები.

ამ საფუძველზე მეოთხმოცე წლების მიწურულში მოსკოვის უნივერსიტეტში შედგა ეგრეთ წოდებული „ცენტრალური კაა“, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო არსებულ წრეების უმეტესობამ, და ამასთანავე იმ დეპუტატებმა, რომლებიც მოწოდებული იყვნენ კასის გამგეობათ, მიითვისეს უფლება სტუდენტების საერთო საქმეებში ჩარევისა და ამ საქმეების ასე თუ ისე გადაწყვეტისა. ახლო ხანში ცენტრალურ კასასთან დაარსდა „სტუდენტების სამსჯავრო“ (студенческий судъ), რომელმაც დაიწყო თავის ნებით სხვა-და-სხვა საექვეო საქმეების გარჩევა არა მარტო სტუდენტებს შორის (ეინც მათში სტუდენტის სახელის გამტეხი გამოდგება, იმათი უნივერსიტეტიდან დათხოვნა), არამედ იმან მიითვისა პროფესორებს და უფროსების მოქმედების გიკიცხვა და ამ განაჩენთა ცალკე გამოქვეყნება.

ამ რამდენსამე წლის წინეთ ცენტრალურ კასამ თავის ალაგი დაუთმო სტუდენტების საერთო დაწესებულებას, რომელმაც მიითვისა „მოკავშირე წრეთა შეერთებული რჩევის“ („союзный советъ объединенныхъ землячествъ“) სახელი. პირველათ ამ დაწესებულებას შეუერთდა 24 წრე; დღეს კი „შეერთებულ რჩევაში“ ირიცხება 45 წრე 1,500 სტუდენტებითურთ; ეს რიცხვი ნახევარზე ცოტა ნაკლება მოსკოკოვის უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რიცხვზე.

„მოკავშირე წრეთა შეერთებულ რჩევას“ უპყრია თავის ხელში სტუდენტების ყოველგვარი საერთო და საზოგადო საქმეების მართვა-გამგეობა, თელის თავის თავს მთელ მოსკოვის სტუდენტობის წადილთა გამომტკმელათ და ითვისებს სტუდენტების ხელმძღვანელობის უფლებას ყოველ გვარ კითხვებში არა მარტო უნივერსიტეტის და საზოგადოებრივი ცნებების შესახებ, არამედ სახეიმიწიფო საქმეებშიაც.

ამაირათ „შეერთებული რჩევა“, თავის ნებით, როცა უნდა აღეღებეს და როცა უნდა დააწყნარებს უნივერსიტეტს. რამდენიმე წლის წინეთ, „შეერთებული რჩევა“, იცნო რა ერთი პროფესორის მოქმედება თავის მიმართულების და შენეღულების შე-

უსაბამოთ, გაუგზავნა მას თავის განაჩენი, რომ მას კათედრისთვის თავი დაენებებია; ტულუზის დეპუტატობის დროს, „შეერთებულმა რჩევამ“, მთელი სტუდენტობის სახელით, საფრანგეთის სტუდენტებს განუცხადა „ზიზლი თავისუფალი ერისაგან მონური მორჩილების გამო თვით-მპყრობელობითი რეჟიმის (წეს-წყობილების) წარმომადგენელთა წინაშე“. 1894 წლის დასასრულს და 1895 წლის დასაწყისს, „შეერთებულმა რჩევამ“ აგიტაცია მოახდინა არა მარტო მოსკოვის სტუდენტებს შორის, არამედ თავის წარმომადგენელების საშუალებით, სხვა უნივერსიტეტო ქალაქებშიაც, რომ მიართევან ხელმწიფეს თხოვნა: 1) დღევანდელი საუნივერსიტეტო წესდების გაუქმების შესახებ და 1863 წლის წესდების ხელ-ახლათ შემოღებაზე, 2) უნივერსიტეტში ქალების მიღებაზე, 3) ინსპექციის გაუქმებაზე, 4) სწავლების თავისუფლებაზე, 5) რომ სტუდენტები ემორჩილებოდნენ მხოლოდ უნივერსიტეტის სამსჯავროს და სხვ. „შეერთებული რჩევის მიერ“ გამოწვეულმა აღეღებამ სტუდენტებს შორის, აიძულა აღმინისტრაცია მიეღო უფრო სასტიკი ზომები ამ საიდუმლო წრის წინააღმდეგ, რის გამო 1895 წლის დასაწყისში კრების დროს დაატუსაღეს მთელი „შეერთებული რჩევა“. აქ გამოირკვა ამ საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც სტუდენტებს საერთო საქმეებს გარდა, პოლიტიკურ ხასიათის კითხვებსაც მისდევს, რომლებსაც არაერთარი კავშირი არა აქვთ უნივერსიტეტის საქმეებთან.

წლებანდელ აკადემიურ წლის დასაწყისში, ხელ-ახლა შემდგარმა „შეერთებულმა რჩევამ“ შეარჩია დრო არეულობის მოსახდენათ მოსკოვის უნივერსიტეტში და შემდეგ სხვა უნივერსიტეტებშიაც განიზრახა არეულობის გამოწვევა. რადგან სტუდენტებს ამისათვის საკმარისი საფუძველი არ ჰქონდათ, „შეერთებულმა რჩევამ“ საერთო პროტესტის მიზნით წამოაყენა სამკურნალო ფაკულტეტზე ერთი პროფესორის დანიშვნა, რომელიც სტუდენტებს არ უყვარდათ. პირველათ ეს საბაბი უარ ჰყვეს წრეებმა, მაგრამ შემდეგ კრებაზე გადაწყვიტეს არეულობის მოხდენა 90 ხმის უმეტესობით. მაგრამ მიუხედავათ ამ გადაწყვეტილებისა, სტუდენტობის უმრავლესობა, რომელიც „მოკავშირე წრეთა“ რიცხვში არ ითვლება, არ დაეთანხმა არეულობის გამოწვევას ასე მცირე მიზეზათ, და წეს-რიგის დარღვევა აღარ მომხდარა, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი სტუდენტები ხსენებული პროფესორის ლექციების დროს სტენით და ხმაურობით გამოდიოდნენ საკითხავი დარბაზიდან.

უნდა აღენიშნოთ აქ, რომ „შეერთებულ რჩე-



ვას“, რომელიც იცავს სტუდენტების ღირსებას, სრულებითაც არ დაუტოვებია უყურადღებოთ თავის „საზოგადოებრივი მოვალეობანი“, და მიიღო თუ არა ცნობა მუშების გაფიცვის შესახებ ერთ კონსტრომის ფაბრიკაში, მაშინვე მიმართა მოწოდებით სტუდენტებს, რომ გაფიცულებს შემწეობა აღმოუჩინონათ. ქუდი, რომელშიაც ჩადებული იყო მოწოდება, ლექციის დროს გადადიოდა ერთი სტუდენტის ხელიდან მეორე სტუდენტის ხელში, შემწეობის შესაკრფათ, და ამას გარდა ორმა წრემ გამოიღეს ამ საქმისათვის 170 მანეთი.

ნამდვილი აზრის შესადგენათ „შევრთებული რჩევის“ ორგანიზაციის მიზანზე, სასარგებლო იქნება მოვიყვანოთ „მოსკოვის მოკავშირე წრეთა შეერთებული რჩევის“ მოწოდება ამ წლის 21 ოქტომბრიდან.

I. შეერთებული რჩევა ფიქრობს, რომ წრეების გაკვირვის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს შემოქმედება მამრადება პოლიტიკური მოძრაობისათვის.

II. შეერთებული რჩევის აზრით, წესიერათ მოწყობილ წინააღმდეგობას (პროტესტს) რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც თან-და-თან ძლიერდება, ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

III. შეერთებული რჩევა პროფესორ X-თან შემთხვევას საკმარის საშუალოთ თვლის არეულობის მოსახდენათ, რომ ამით უბრძოლავს თანამედროვე საუნივერსიტეტო მმართველობას, რომელიც სახელმწიფოს საზოგადო პოლიტიკის ერთ კერძო მოვლენას შეადგენს; ეს არეულობა უნდა გავრცელდეს სხვა ქადაქების სტუდენტობაშიც, სადაც კი სტუდენტების წრეები არსებობენ.

IV. შეერთებული რჩევა თხოვს წრეებს და სხვა უნივერსიტეტებს შექმნან კითხვებზე პასუხი მისცენ:

1) შეერთებული რჩევის აზრს, რომ ამ უმართ საჭიროა აშკარათ წინააღმდეგობის განცხადება უნივერსიტეტების საერთო მმართველობას წინააღმდეგ და ამისათვის დასასჯელებულ პროფესორთან შემთხვევითი სატყუბლობა.

2) თუ შეერთებული რჩევის აზრს, რომ შეერთებული რჩევის უფლებას პროტესტის შედგენისა და მოთხოვნათა პროტესტის შემუშავებისა.

3) თანხმდებიან ანა, თუ არა, რომ დაემორჩილონ იმ მოქმედების პროტესტს, რომელსაც შეიმუშავებს შეერთებული რჩევა მას შემდეგ, როდესაც დაკითხება წრეებს და სხვა უნივერსიტეტებს?

V. ის წრეები, რომლებიც თავის პასუხს არ გაუგზავნიან შეერთებულ რჩევას 5 ნოემბრამდე, უნდა დაემორჩილონ საზოგადო გადაწყვეტილებას.

VI. თითოეულმა წრემ უნდა წარადგინოს სტატისტიკური ცნობები იმ პირობით, რომლებიც მიიღებენ შეერთებულ რჩევის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.

„გამოთქმულ წინადადებათა სასაზოგადოებრო შეერთებული რჩევა საჭიროთ თვლის შემდეგი საშუალებები მოიყვანოს“:

„თანამედროვე უნივერსიტეტის მმართველობა მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკის სულ მცირეთ გამოხატველ ერთი მოვლენათაგანია. უნივერსიტეტის მთავრობის ძალადობის და თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, სტუდენტობა გაიწვრთნება და მოემზადება პოლიტიკური ბრძოლისთვის სახელმწიფოს საზოგადო წესწყობილობასთან. რაკციონულ პრინციპების სისტემატიურ მოყვანას უნივერსიტეტის ცხოვრებაში მართებლობის მხრით თან-მოყვება პროფესორების სრული გარყვანა და სტუდენტობაში საკუთარი ღირსების დაცემა... არეულობანი, საზოგადოებრივ ნიადაგზე დაყენებულნი, აღეფიქვინებენ სტუდენტობას და გამოიწვევენ საუკეთესო ელემენტებს აქტიურ მოქმედებისათვის, რადგანაც იმათთვის წინააღმდეგობის მნიშვნელობა ცხადი საქმე იქნება. ამნაირი მოქმედებით სტუდენტობა დაანახებებს ყველას, რომ დაუსჯელათ მისი შეურაცხყოფა შეუძლებელია და იმის მოთმენასაც აქვს საზღვარი. შემთხვევა პროფესორ X-თან საკმარის მიზეზათ ჩაითვლება სტუდენტების საერთო მოძრაობისათვის“.

რადგან „შევრთებული რჩევის მიერ“ წამოყენებულ შემთხვევის მიზეზით არეულობა აღარ მოხდა, ამიტომ ხსენებულმა საზოგადოებამ არეულობის გამოაწვევათ მიმართა სხვა ზომას, სახელდაბ პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციის მოხდენას ქუთაში და რადგან აღმინისტრაციის მხრივ ეს გამოიწვევს სასტუკ ზომებს, მაშინ დანარჩენი სტუდენტებიც იძულებული შეიქნებიან არეულობაში მონაწილეობა მიიღონ. ამ მიზნით აირჩიეს ხოლანის მინდორზე უბედურ შემთხვევის ნახევარი წლის შესრულების დღე. „შევრთებულმა რჩევამ“ გაუგზავნა სტუდენტებს მოწოდება, რათა ეს უკანასკნელნი 18 ნოემბერს შევროდენ ვაკანკოვის სასაფლაოზე დაღუპულებისთვის პანაშვიდის გადასახდელთ, და „ჩვენის დასწრებით“, როგორც ამ რბს მოწოდება 14 ნოემბრიდან, „გამოუტყუბლოთ ერთი მხრით თანაგრძობა აღმინისტრაციის დაუდევრობის მხეერპლოთ, და მეორე მხრით, — წინააღმდეგობას გავუწვეთ თანამედროვე წესწყობილებას, რომელიც შესაძლებელიათ ხდის ამ ნაირ უბედურ ფაქტების მოხდენას.

„შევრთებული რჩევის“ განზრახვამ დემონსტრაციის მოსახდენათ უნივერსიტეტის გარეთ გამოიწვია აღმინისტრაციის განკარგულება, რომ ამ საიდუმლო

წრის ყველა წევრი, რიცხვით 56 კაცი, დატყვევებინათ, რომლებსაც გაჩხრეკის დროს, 16 და 17 ნოემბერს, უპოვეს მრავალი ნივთიერი საბუთი, რომელიც ნათლათ ხდის იმ გარემოებას, რომ ისინი „შეერთებული რჩევის“ წევრი არიან. ამგვარ საბუთებს გარდა, მრავალ იმათანს უპოვეს სხვაგვარი საბუთებიც, რომლებიც ეხებიან იმ რევოლიუციონურ საზოგადოების მოქმედებას, რომელსაც „მუშათა კავშირი“ ჰქვია, და აგრეთვე უპოვეს სხვა საიდუმლო გამოცემანიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, რომ „შეერთებული რჩევის“ წევრი დატყვევებულნი იქმენ, 18 ნოემბერს, დილით, სტუდენტობის ერთი ნაწილი, რიცხვით 500 კაცამდის, აღელვებული ზევით მოხსენებული მოწოდებით, გაემართენ ვაგანკოვის სასაფლაოსკენ. მაგრამ პრესნენსკის კარებთან პოლიციამ შეაჩერა. სტუდენტებმა დაშლაზე უარი განაცხადეს და ისევ უნივერსიტეტისაკენ დაბრუნდნენ. უნივერსიტეტის ახლოს მათ შეუერთდნენ ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტის კარებთან იყვნენ გაჩერებული და აგრეთვე ისინი, ვინც უნივერსიტეტიდან გამოდიოდნენ. რადგან შინ დაბრუნებაზე სტუდენტებმა უარი განაცხადეს, ისინი წაიყვანეს უნივერსიტეტის ახლო მდებარე მანეჟში, სადაც დემონსტრაციის ყველა მონაწილე ჩაწერილ იქმნა და შემდეგ გაათავისუფლეს ყველა, გარდა 36 კაცისა, რომლებიც არეულობაში მეთაურობდნენ და ამხანაგებს აქეზებდნენ. სტუდენტებს გარდა იქ აღმოჩნდა რამდენიმე საქალბო კურსების მსმენელი და იმნაირი პირნი, რომლებიც უნივერსიტეტში არ იმყოფებიან.

19 ნოემბერს უნივერსიტეტში შეიკრიბა 400 კაცზე მეტი სტუდენტი, რომლებმაც გაუგზავნეს რექტორს 20 დებუტატი დატყვევებულ ამხანაგების გათავისუფლების მოსათხოვად. რექტორმა არ მიიღო დებუტატები, იმ მიზეზით, რომ კრებები და საერთო თხოვნები უნივერსიტეტის წესდების ძალით აკრძალული არიან; ამის მიუხედავად სტუდენტების წარმომადგენელი ძალათ შევიდნენ რექტორთან, მაგრამ რექტორმა არ მოუსმინა მათ და დიდი ხნა. შემდეგ რექტორი გაედა გარეთ და სტუდენტებს თხოვდა, რომ შინ წასულიყვნენ; სტუდენტობის უმრავლესობა არ დაემორჩილა ამას. ამიტომ უნივერსიტეტის მთავრობა იძულებულ შეიქმნა პოლიციის დახმარებითავე მიემართა ურჩი სტუდენტების დასატყვევებლათ; პოლიცია შევიდა უნივერსიტეტში და ვინც კრებაში მონაწილეობას იღებდა წაიყვანა მანეჟში, სადაც ჩაწერილ იქმნა 403 კაცი, რომლებიც შემდეგ სატუსალოში გაგზავნეს.

20 და 22 ნოემბერს უნივერსიტეტში ხელახლა მოხდა ძლიერ აღელვებული კრებები, რომლებშიაც

მონაწილეობის მიმდებ, უნივერსიტეტის მთავრობის თხოვნით, პოლიცია იჭერდა. პირველი დღეს (20 ნოემბერს) დაატყვევეს 206 კაცი და შემორჩენილნი — 66. დატყვევებულთა საერთო რიცხვისაგან (711 კაცი), ზოგიერთებმა მიიქციეს ადმინისტრაციის და უნივერსიტეტის მთავრობის განსაკუთრებითი ყურადღება, როგორც არეულობის მოთავეებმა და ხელმძღვანელებმა, რის გამო საქმე იმათ შესახებ და აგრეთვე 17 ნოემბერს „შეერთებული რჩევის“ დატყვევებულ წევრების შესახებაც უნდა განიჩეს 32—36 მუხლის ძალით (უმაღლესათ დამტკიცებული წესდება სახელმწიფო წესწყობილების და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვის შესახებ). დანარჩენი 662 სტუდენტის დანაშაულობა გაიჩა უნივერსიტეტის სამსჯავროს მიერ, რომელმაც, გაჰყო რა ისინი სამ კატეგორიათ (ნაწილათ), დაადგინა:

- „1) პირველი კატეგორიის სტუდენტები, რიცხვით 26 კაცი, რომლებიც ხსენებულ კრებებში უფრო მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ან წინეთაც იყვნენ შემჩნეულნი უნივერსიტეტში, დათხოვილ იქმნან უნივერსიტეტიდან იმ უფლებით, რომ მომავალი აკადემიური წლიდან ნება ექნებათ სხვა უნივერსიტეტში შევიდნენ;
- 2) მეორე კატეგორიის სტუდენტები, რიცხვით 175 კაცი, რომლებმაც ორჯელ მიიღეს მონაწილეობა კრებებში, ამნაირათვე დაისაჯონ,—და
- 3) მესამე კატეგორიის სტუდენტები, რიცხვით 461 კაცი, რომლებმაც მხოლოდ ერთხელ მიიღეს მონაწილეობა კრებებში, დათხოვილ იქმნან უნივერსიტეტიდან იმ უფლებით, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან ისევ იქმნან მიღებულნი“.

შემდეგ სახალხო განათლების მინისტრმა შეუმცირა სასჯელი მეორე და მესამე კატეგორიის სტუდენტებს მით, რომ 25, 26 და 27 ნოემბერს ისინი გამოშვებული იქმნენ ციხიდან, რიცხვით 636 კაცი.

„შეერთებულმა რჩევამ“ მართა მოსკოვის უნივერსიტეტში არ იკმარა არეულობის მოხდენა, მან გაგზავნა თავის დელეგატები სხვა უნივერსიტეტებში და აგრეთვე გაიტაცა თავის მაგალითით მოსკოვის საიმპერატორო ტექნიკურ სასწავლებლის მსმენელიც. მრავალ უნივერსიტეტებში ეს მაღალ სასწავლებლებში ამ დროს განმავლობაში სტუდენტები იკრიბებოდნენ, რომ გაერჩიათ მოსკოვის „შეერთებული რჩევის“ წინადადება იმ კითხვის შესახებ, საჭიროა თუ არა სტუდენტების საყოველთაო არეულობის მოხდენა, რომ 1863 წლის უნივერსიტეტის წესდება იქმნას ხელახლა შემოღებული, სხვა უსაფუძლო თხოვნის შესრულება, და აგრეთვე მოსკოვში დაჭერილ სტუდენტების გათავისუფლების შესახებ,

მაგრამ ეს კრებები სამოსწავლებლო მთავრობის შთაგონებით იშლებოდნენ, ასე რომ პოლიციის ზომების ხმარება საჭირო აღარ ყოფილა.

ორი ახალი წრე.



ვერი თქმულა, ბევრი დაწერილა, რომ თუ გვინდა ჩვენი საქმეების კარგათ მოწყობა, მკვიდრ ნიადაგზე დადგომა, ჩვენ საჭირობ. როგორც საქმეების გაძლოლა, თავის შევლა—საჭიროა მატერიალური ძალა ექონიოთ ხელთ; ზურგი მაგრათ გექონდეს. ეს აზრი, მგონი, ჩვენ საზოგადოებამ ცოტა არ იყოს შეიგნო და სხვის ხელში ცქერას ამჯობინა თავისი მატერიალური ძალის შეძენა. უსათუოთ ამ აზრებით გამსჭვალული ამ წელს ათიოდ ქართველ ქალმა მოიყარა თავი და დაადკა შემდეგ დასკვნას: გამოვიდოთ ცოტაოდენი ფული, შევადგინოთ თანხა, გავხსნათ საწვრილმანო ღუქანი; კარგი და იაფი ხორაგიც გვექნება, ჩვენი ფულიც ჩვენშივე დატრიალდება. თუ შევთანხმდებით, საჩუბელი კეთილ საქმეს მოვანხაროთო. ქალებმა მოინდომეს ამ აზრის განხორციელება, დაფაცურდენ, დაიწყეს საწვერო ფულის მოგროვება. ბევრნი დიდი თანაგრძობით მიეგებენ ამ საქმეს, მაგრამ... ერთმა უბრალო რამემ ცოტა არ იყოს შეაფერხა ამათი მოქმედება...

თურმე ერთი წლის წინეთ კაცებს ჰქონიათ ესევე განზრახვა, ცოტა ოდენი ფული მოუგროვებიათ კიდევ და შეჩერებულან. რასაკვირველია, ამათ გაიგეს თუ არა ქალების განზრახვა, იფიქრეს: „მოდო დავუბრუნდეთ ჩვენ საქმეს, შევეუერთდეთ ქალებს ზე ერთათ უფრო კარგათ წავიყვანთ საქმესო“. თქვეს და გაუგზავნეს ქალებს დესპანები: მიგვიღეთ ჩვენც თქვენ წრეშიო. ქალებმა ცოტა არ იყოს იუცხოეს, არ უნდოდათ პირველობა დაეთმოთ, მაგრამ მიინც სიტყვა პასუხში ერთი ათათ მეტი ზრდილობა გამოიჩინეს, ვიდრე კაცებმა. საქმე ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, რომ მოხდა ერთი უცნაური ამბავი.

წამოდგა საზოგადოების წინ ერთი ჩვენი ნაცნობი ქველ-მოქმედი პირი და წარმოთქვა დაახლოვებით შემდეგი: ვუძღვნი ქალებს ქება-დიდებას და დარწმუნებული ვარ, რომ მათ ესაჭიროვებათ შევლა; მე ჩემ მხრივ ეწირავ ას თუმანს და იმედია, ქალები აღადგენენ ჩვენ ძველ ხელსაქმეებს და მაგითი დიდ ღვაწლს დასდებენ სამშობლოს წინაშე.

ამის თქმა იყო და აირია მონასტერი. ასი თუმანის მიღების საღერღელი აეშალა ყველას. ვაქრობა

და ქველ-მოქმედება არ იცოდენ როგორ შეეერთებინათ. ორივე კარგი საქმე იყო და ვინც შეეერთებოდა, ეგონა იმ საქმისთვის შეჰქონდა საწვერო ფული, ამ ორ საქმეში რომელსაც თანაუგრძობდა. ბოლოს გამოირკვა, როგორც გაკრით შევიტყვეთ, ქალთა წრის უმეტესობის სურვილი.

—გახსნან სახელოსნო (мастерская) სადაც ქართველი ქალები ისწავლიან ახალმოღის კაბების და შლაპების კერვას. მსურველთ შეეძლებათ შეუწყვეთონ კაბა—შლაპები; იქვე გაჰყლიან ჩვენი ქვეყნის სხვა-და სხვა კუთხის ხელსაქმის ნაწარმოებთ... ეს სახელოსნო მიეგვანება ქალაქის პროფესიონალურ სკოლას, სადაც ქალებს იყვანენ მუქათათ და ქალაქის მის შესანახათ წელიწადში ხაზრავს 5,525 მანეთს, თუმცა თვით დირექტრისა მუქათათ შრომობს. *) ამ სკოლის მოსაწყობათ დახარჯული ფული, რასაკვირველია, კიდევ სხვაა.

ამბობენ ჩვენი ქალების წრეს ორას თუმანადის აქესო შეკრებილი და ამ ფულით შეიძლება თუ არა ამისთანა ფრიად კარგი საქმის დაწყება, ეს მიგვიჩვენია თვით მკითხველებისთვ; ს; ჩვენ კი ამ საქმეში ურწმუნო თომა ვართ, რადგან მაკალითი თვალ წინ გვიდგია: დედათა სკოლის დაარსების საქმეზე თითქმის ათი წელიწადი ლაპარაკობენ, ქართველი საზოგადოება (აქ უნდა ვიგულისხმოთ სულ პატარა ნაწილი საზოგადოებისა) მოწადინეა ეს საქმე სისრულეში მოიყვანოს და უსახსრობით ვერას აწყობს... კიდევ გავიმეორებთ, თუ კი შეიძლება ქალთა წრე, რომ დააარსოს პროფესიონალური სკოლა, ამას არა შეედრება რა, ყველაზე მეტათ გავიხარებთ ზე არ გვექნება მიზეზი ეთქვათ:

ხიმერაა, სხვა არაფერი.
მეორე წრეს (კაცებისას), როგორც ამბობენ, უფრო სადათ წაუყვანია თავიანთ საქმე, მაღალ ფარდებში არ უფრენიანთ და დაბლა თავისიანებში მოუგროვებიათ ოთხას თუმანადის და აპირებენ სავაქრო ღუქანის გახსნას. ხოლო ის გვაკვირვებს, რომ ამათ ეს ოთხასი თუმანი ისე ბევრათ მიანჩიანთ, რომ ვერ მოუპოვიანთ ამ ფულის ნაწარმოებლათ ერთი პირი ზე სურთ ყოველ ას თუმანზე თითო კაცი დაიქირაონ. მაგრამ უსათუოთ ყველაფერი კეთილათ დაგვირგვინება ზე თუ ქალებიც ჩამოვლენ ზეციდან ზე ესენი ხელი-ხელს მისცემენ ერთმანეთს, მაშინ ხომ სულ კარგათ წავა ჩვენი საქმე. მაგრამ სად არი ერთობა?

ტ—ო.

*) საკვირველია რომ ქალაქის გამკეობის კანტელის რაში არ მოიპოვება თავიანთი პროფესიონალური სკოლის ანგარიში.

სხვა-და-სხვა ამბავი.



აინიშნა კავკასიის მთავარ-მართებლათ სახელმწიფო საბჭოს წევრი ლერენალი ინტანტერასა თაჲდი გრიგოლ სერკეს ძე გვლიცინი. იგი უცნობი არ არის კავკასიისთვის, 1865 წლიდან 1872 წ. იყო უფროსათ „გრუზინსკის“ პოლიცია; ამ ზაფხულს მოგზაურობდა კავკასიაში.

* * *

უმადესი ბრანქა. მთავარ-მართებელი სამოქალაქო უწყებისა კავკასიაში, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი და კავკასიის ყაზახის ჯარების ატაშანი, ლენერალ-ადიუტანტი, კავალერიის ლენერალი შერქმეტევი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრათ.

* * *

შენიერი ამინდი დგას საზოგადოთ მთელ ჩვენ მხარეში, მზიანი დღეები, მშრალი სასიარულო; სხვა რაღა გვეჭირება, მაგრამ ამ ამინოს საუბედუროთ მოსდევს სხვა-და-სხვა ავთამყოფობა: ხუნავი, სხადი. ერთი, როგორც ამბობენ, შავი სხადითაც გარდაცვლილა.

* * *

სამიწათ - მომქმედო სამინისტროს განზრახვა ჰქონდა ჩვენი საბალოსნო სკოლის გადაკეთება საშუალო სამეურნეო სკოლათ და ამიტომ სკოლის ზედამხედველათ არაეის ამტკიცებდა. დროებით ამ თანამდებობას ასრულებდა სკოლის მზრუნველი ბ. ტიმოფეევი. ახლა, რადგან სკოლა შეუცვლელათ რჩება, უნდა დაინიშნოს მმართველი. ბ. ტიმოფეევის წარუდგენია ორი კანდიდატი: ჯაფარიძე და პარონიანი.

* * *

სანიტარულ-სამკურნალო რჩევის ერთ უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქმნა ექიმი ქალის მ. ა. ისაკოვის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწყოს უფასოთ ქალების ექიმობა ქალაქში, როცა ისინი დედაკაცურ ავთამყოფობით ხდებიან ავთ და როცა ხანგრძლივი ექიმობაა საჭირო. ქნი ისაკოვის აზრით, ამგვარი ექიმობა ორნაირათ შეიძლება: სახლში და გინეკოლოგიურ საავთამყოფოში. სახლში ექიმობა მით უფრო საჭიროა, რომ საზოგადოებრივი პირობები: საღარიბე, ბავშვები და სხვ.,

ნებას არ აძლევენ ღარიბ დედაკაცებს მიატოვონ თავის სახლი და საექიმოთ წავიდნ სადმე. მაგრამ ამგვარ დახმარების საჭიროებას ჩვენ ვეუბნებოდეთ, თუ მოვიკონებდეთ დოთ ჩვენი საავთამყოფოები მუდამ სავსეა, და კიდევ რომ გინდოდეთ და შეიძლებაც გქონდეთ, იქ თავშესაფარს ვერ იშოვით საშიშარი ავთამყოფობის დროსაც. სტატისტიკური ცნობები გვეუბნება, რომ ამ უკანასკნელ დროს დედაკაცური სენით ავთამყოფობა მეტათ გავრცელებულია; მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველა ამგვარი ავთამყოფობის სტატისტიკურ ცნობებს ვერ ეტყობულობ. სხვა-და-სხვა მიზეზს გამო. ზემოთ მოხსენებული დახმარების აღმოჩენა შეიძლება, ქნი ისაკოვის პრაექტით, ორა ექიმი ქალის მოწვევით (1,240 მანეთის სასკიდლით წელიწადში) და ორი ბებიის (500 მანეთს ჯამაგარით), რომლებიც ქალაქის საავთამყოფოშიაც უნდა დებულდნ მოსიარულე ავთამყოფთ და აგრეთვე უნდა დადიოდნ სახლში ავთამყოფებთან.

* * *

თბილისის საბჭოს ხმოსანმა, ბ. ე. დ. ყორღანოვმა, წარუდგინა ქალაქის საბჭოს ძლიერ საყურადღებო მოხსენება, რომელშიაც აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქალაქი ამ უკანასკნელ დროს სულ უფრო და უფრო იწევა ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ და მიუხედავთ იმისა, რომ სოლოლაკელები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ თავისკენ გადიტანონ ქალაქის ცენტრი, ბუნება მაინც თავისას შერება. როგორც ვიცით, სოლოლაკის უბანი პირდაპირ მიბჯენილია სოლოლაკის მთაზე. მაშინ როცა თბილისის ჩრდილო-დასავლეთის მხარე, მტკვრის მარცხენა განაპირა, სრულიად გაშლილი ალაგია, სადაც დასახლებას თვით ბუნება ყოველ მხრით უწყობს ხელს. ბ. ყორღანოვის მოხსენებაში ნათქვამია, რომ მცხოვრებლებმა უკვე კარგათ შეიგნეს ეს გარემოება, და ამ ბოლო დროს დიდუბეში და მის ახლო-მახლო ადგილებში შეენიერი შენობები ამართეს; ამის გამოთვით მიწის ფასმაც იქ შესამჩნევათ იმატა. ამ ათი წლის წინეთ ოთხკუთხი საყენი იქ ფასობდა 20 — 50 კაპ., ახლა კი იმაში სისარულით აძლევენ 5 — 7 მანეთს. ბ. ყორღანოვი თავი მოხსენებაში წინადადებას აძლევს საბჭოს, რომ ახალი სახლების აშენება და ქუჩების გაყვანა ისე იქმნას მოწყობალი, რომ შემდეგში საჭიროთ არ გახდეს იმათი ხელ-ახლა გადაკეთება. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ღირსია ყურადღებისა, და ეკვი არ არის, რომ ქალაქის თვითმმართველობა ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ დავსძინოთ ამას შემდეგ.

საქმე ის არის, ქალაქის და მის მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მარტო ის არა კმარა, რომ სახლები და ფართო ქუჩები გააკეთონ; ამას გარდა საჭიროა კიდევ, თვით სახლები და უმეტესათ ქუჩები გაუმჯობესონ. დღეს კი, მაგ., ჩვენი ქალაქის ქუჩების მდკომარეობა ყოველად უწყვეტია, ასე რომ უმეტეს იმათგანზე გავლა არა თუ ფეხით მოსიარულეს, არამედ ცხენოსანსაც გაუჭირდება.

* *

რვა დეკემბერს თბილისის საქალაქო რკინის გზის სასწავლებელში მოხდა წლიური აქტ, რომელზედაც დაესწრო მრავალი საპატო პირი. სკოლის ანგარიშიდან ჩანს, რომ ამ წამათ სასწავლებელში ირიცხება სულ 373 მოსწავლე; უმეტესობას მათში რუსები შეადგენენ (72,9%), შემდეგ ქართველები (18,7%); სომხები, ურიები და მთიულეები ძლიერ ცოტა არის. ინსპექტორას სიტყვით სასწავლებლის არსებობის დროს, 5 წლის განმავლობაში, სწავლა შეუსრულებია 41 კაცს.

* *

ქუთაისიდან ატყობინებენ „ნოვ. ობოზ“-ს, რომ ქალაქის თავი ბ. ლოლუა აპირებს თხოვოს მართებლობას, რომ ეპატოოს ქალაქ ქუთაის მასზე დარჩენილი აღრიხდელი გადასახადი.

* *

ქალაქ ბაქოში აპირებენ სომხის სემინარიის გახსნას, რომლისთვისაც არა ნაკლებ 300,000 მ. დასჭირდებათ. ამ ცოტა ხანში, როგორც სომხის გაზეთები გვაუწყებენ, ეს ფული თითქმის სრულათ მოუგროვებიათ. ზოგიერთ ნავთის მწარმოებლებს მიუციათ ათას ხუთასი და ათასი თუმნები.

* *

„ტარიფების კრებულში“ (№ 763) რკინის გზის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულია, რომ ქ. თბილისში არსდება ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქალაქო სადგური, გახსნის დღე შემდეგ იქნება გამოცხადებული. საქალაქო სადგურს, როგორც ნათქვამია განცხადებაში, შეეძლება: 1) პასაჟირის ბილეთების ყიდვა; 2) ბარკის მიღება და მიცემა; 3) ბარკის ღ

სხვა გასაგზავნი საქონლის დაზღვევა; 4) გადატანა საქონლის და სხვა. ყველა ესენი, შესაძლებელია შესრულდეს არა მარტო სადგურზე, არამედ ქუჩებზეც. ვინის, იმის ბინაზედაც. ჩვეულებრივ გადასახადს გარდა და საქალაქო სადგური აიღებს: 1) პასაჟირის ბილეთების გაყიდვისათვის 2% იათ ღირებულობისას, მაგრამ არა უმეტეს 15 კაპ. თითო ბილეთზე; 2) გასაგზავნი ან მისაღები ბარკის და საქონლისთვის არა უმეტეს 6 კაპ. ფუთზე და გასაგზავნათ არა ნაკლებ 50 კაპ. („Нов. Обоз.“).

* *

ჩვენ ამოვიკითხეთ „ცნობის ფურცელში“ შემდეგი ამბავი: ახნ. ელ. კობახიძეს შეუწირავს სუთის სასოფლო სკოლისთვის (!) გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რისთვისაც იქაური მასწავლებელი თეიმ. ჭაჭინაძე მადლობას უძღვნის.

* *

შემახის მაზრაში 5 ქრისტიანობისთვის ყოვილა მიწის ძეგრა.

* *

ქალაქის შემოსავალი ყოფილა 11 თვის განმავლობაში (1 იანვრიდან 1 ქრისტიანობამდის) 1,021, 218 მ. და დაარჯულა ამავე დროს 962,032 მ.

* *

ოთხშაბათს, 11 დეკემბერს, ქ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოთ და ათი წლის საარტისტო მოღვაწეობის სადღესასწაულოთ ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ წარმოადგინა „დაქცეული ოჯახი“, თბ. გ. სუნდუკიანცისა. მობენეფისემ შეენიერათ გამოსახათვის როლი, ძველი, აწ დაქცეული ოჯახის, ხავს. მოკიდებული ნაშთი წარმოადგინა თვალწინ. ქ. საფაროვის თამაში ავტორის გულში ჩახედული თამაში იყო, კაცს ეგონებოდა ჩვენი საუცხოვო არტისტკა ჩუმათ მიეპარა ავტორს, როდესაც ის თავისი პიესის წერაში იყო გართული, და ავტორის უხილავათ, მის ზურგს უკან ამოფარებულმა, მის გულის ღიმილში ჩახედა, ამ გულს ცელქი მიხვრა მოხვრა გადილო, ჩუმათ მოჰპარა ყველა ვგენი ავტორს და ჩვენ სცენაზე გადმოგვიცქრიალა. ბ. ვ. აბაშიძეც დანჯათ დაჰკვირვებია ავტორის განზრახვას და თავისი ძნელი როლი ცოცხალ-ნამდვილათ წარმოადგინა. ბ. გამყრელიძე კინტოზე უკინტოესი იყო, სო-

რაჯზე უსირაჯესი. ეს ნიჭიერი არტისტი წრფელი სიმპატიის ღირსია.

თეატრის ზალა ნახევრათ საესე იყო. წინა-წყებანი ცარიელობდნენ. არტისტებმა სცენაზე მიულოცეს თავის ამხანაგ-თანამოღვაწეს ქ. ჩერქიზიშვილს ათი წლის იუბილეი; სახსოვარ-საჩუქარი მიართვეს და გულწრფელი სიტყვები უძღვნეს.



სად არის სამშობლო ვაზისა?

პურძენი ცნობილი იყო უძველეს დროშიაც: ვენახის გაშენებაზე, ყურძენზე და ყურძნის წვენზე, როგორც ყველამ იცის ნოეს ისტორიიდან, მოხსენებულია მოსეს პირველ წიგნში. აგრეთვე ჰომეროსის დროის ბერძნებსაც გაცნობილი ჰქონდათ ღვინო, რადგან ამის შესახებ არა ერთხელ არის ნათქვამი ილიადაში და ოდისსეიაში.

ძნელი კი არის ახლა დანამდვილებით განმარტოს კაცმა: სად არის ვაზის სამშობლო? სად და როდის გაიცინეს პირველათ ყურძენი და ყურძნის

ღვინო? სად მოაშენეს ვაზი პირველათ და სად გავრცელდა იგი შემდეგში?

ყველა ამ კითხვების ახსნას ცდილობს მცენარეუპყენი თავის შრომაში: კულტურული მცენარეები და შინაური ცხოველები (Kulturpflanzen und Haustiere... non Victor Hehn).

ამ შრომის პირველ ნაწილში მოთავსებულია სტატია სათაურით: Der Weinstock, რომლიდანაც ჩვენ მოვიყვანთ აქ ზოგიერთ, ჩვენი აზრით, უფრო საინტერესო ადგილებს.

ღვინო რომ სემიტების კულტურის სამფლობელოდან გადავიდა საბერძნეთში, — ეს ჩანს ღვინის სახელწოდების ერთგვარობიდან: ბერძნ. Bivos (დიგამით), ებრაელი yain, ეთიოპური Wain (Fr. Müller in Kuhns Zeitschr. 10,319); წინააღმდეგი შეხედულება რენანისა, ეთიოპ სემიტებს თვით ესესხოთ ეს სიტყვა არიელებისგან (საკუთრივ ბერძნებ-იტალიელებისაგან და არა ირანელებისაგან, რომელთაც არა აქვთ იგი) სრულიად არ უნდა ჩაითვალოს სარწმუნოთ. მიმართეს აგრეთვე სანსკრიტსა და მისი მეოხებით ცდილობდნენ ღვინო მიეღოთ ჯერ კიდევ განუყოფელი ინდო ევროპიელი ტომის პირვანდელ საერთო კუთვნილებათ. მაგრამ ეს აზრიც არ გამართლდა. ვაზის ნამდვილი სამშობლო, — კასპიის ზღვის სამხრეთ ქვეყნებში, რომლებიც განთქმულია მდიდარ მცენარებით, მდებარეობდა სემიტური ტომის პირვანდელ საბინადრო ადგილის ახლოს, როგორც ისტორიული წყაროები ამის შესახებ ცნობებს იძლევიან... იქ უტყვებში მკლავის სისხო ვაზი გარს შემოხვევია ცამდის ამართულ ხეებს, გადახლართულა ხის წვერიდან-წვერზე და აღამიანის ყურადღება მიუტყვევია თავისი მძიმე მტევნებით; იქ, ანუ კოლხიდაში — ფაზისზე, პროვინციებში: კახეთში, სამეგრელოში, იმერეთში, სომხეთში, კავკასსა, არარატსა და ტაერს შუა, თანახმათ მორიც ვაგნერისა (Reise nach Kolchis, Leipzig 1850) და ვოლენატის (Reise nach Hocharmenien und Elisabethpol, Dresden 1858), ცნობებისა დღემდის ხმარებაშია სრულიად პირვანდელი წესები, რომლებსაც ჩვენ



ცნობილი მხატვარი ივ. აივაზოვსკი.

ვიცნობთ ბერძნულ-
ლი და რომაელი
წყაროების მე-
ხებით: ადება (ვა-
მოყოფა) საეწინაზე
ბალისა, ჯვარდნი
ნათ სვრდე სივა-
ნეზე ცის ოთხვე
მხარეზე გავლით
(die Abtheilung
der Weingärten
durch Kreuz-
gänge nach den
vier Himmelsri-
chtungen), გაფს-
ვა ან გაკირვა ამო-
რებისა (ჭურებისა),
მიწაში დამარხვა



ლაპლანდიის ცხოვრებიდან.

და სხვ. იქ მოდის ქაჩვასკით (ნარინჯის ფე-
რი), ტკბილ-ბალზამიური, მეტის-ნეტათ კეთილ-
სუნნელოვანი (არომატული) ყურძენი და უუკეთილ-
შობილესი კახური ვაზი (die edelste Kachetische
Rebe...) იძლევა ისეთ ძლიერ (ინტენსიურ) მუქ-
წითელი ფერის წვენს, რომ ქალები ხმარობენ წე-
რილების დასაწერათ. ამ ქვეყნიდან ვაზი თან-დასდევ-
და სემიტურ ტომთა, როცა ისინი ესახლებოდნენ ევ-
ფრატის დაბლობზე და სამხრეთ დასავლეთის სამოთ-
ხესა და უდაბნოებში. სადაც იმათ ვხვდებით შემდეგ-
ში დამყარებულათ და სადაც იმათ შექმნეს თავიან-
თი საკუთარი კულტურა ისე, როგორც თვით უკან
მოსდევდა—ეგვიპტელებისას...”

თუ საიდან და როდის გაიცნეს ინდო-გერმანე-
ლებმა ყურძენი და ყურძნის ღვინო,—ეს საკითხი
ძნელ ასახანელათ მიაჩნია დოკტ. შრადერსა. მე მგო-
ნიაო, ამბობს იგი, რომ ეს საკითხი ვერ ახსნა თვით
ჰენშაც, რომელიც ფიქრობს, რომ ეს ცოდნა ინდო-
გერმანელებმა სემიტთა კულტურის სამფლობელო-
დან გადმოიღესო.

აქ შრადერს არ ჯერა ის მოსაზრება ჰენისა,
რომ ინდო-გერმანელები ყურძენს და ყურძნის ღვი-
ნოს სემიტთა მეოხებით გაცნობოდნენ.

არც იმაში ეთანხმება იგი ჰენსა, რომ ბერძნ.
სიტყვა Binos, oinos გადმოღებული იყოს ებრაუ.

ლისაგან jain, არაბულ-ეფიოპურისაგან wain. მაგ-
რამ შრადერი იმას კი არ ჰყოფს უარს, რომ ყურძ-
ნის (ვაზის) სამშობლო ის ქვეყნები არ იყოს, რომ-
ლებსაც უჩვენებს ჰენი. პირ-იქით, ადარებს რა ლა-
თინ. vinum-ს, ბერძნ. oinos-ს სამხურ სიტყვა
gini-ს, ავტორი ამბობს: „ზოლო სამხურ. gini-თ
კი ჩვენ ვიმყოფებით ყურძნის პირვანდელ სამშობ-
ლოში—პონტისა და კასპის ახლო-მახლო ქვეყნებ-
ში“.

ქართული სიტყ. ღვინო,— აგრეთვე აუხაზუ-
რიც—მონათესავეობს ზემო მოყვანილ სემიტურ და
ინდო-გერმანულ ღვინის სახელებთან. ამიტომ მისა
ერთგვარობიდან ძნელია რისამე განსაზღვრულის გა-
მოყვანა ღვინის თავდაპირველ სამშობლოზე...

ასეა თუ ისე, როგორც ზევით დავინახეთ, არის
საკმაო საბუთი ზოგიერთი ადგილები ამიერ კავკა-
სიისა ჩაითვალოს ვაზის ძველის-ძველ სამშობლოთ.

ახლა კი, იმავე სწავლულ ჰენის შენიშვნისა-
მებრ, ვაზის გავრცელება ექვემდებარება ისტორიის
ზოგად მსვლელობას, ე. ი. პირვანდელ სამშობლო-
ში, საიდანაც ვაზი შევიდა სხვა ქვეყნებში, ვაზი დაე-
ცა; პირ-იქით ახალ ქვეყნებში კი, სადაც რის ვაი-
ვაგლახით დაწყეს მისი მოშენება, იმან მიახწია გან-
ვითარების უმაღლეს ხარისხამდე და იძლევა უშვე-
ნიერეს წვენს და უკეთეს ღვინოს, აქ კულტურამ

და ტენნიკამ თავისი გაიყვანა და ჩვენ არ ვიცით, რას იზამდა ერთიც და მეორეც, რომ ესენი შეეტანათ ვაზის პარვანდელ (ძველ) სამშობლოებში...

მ. შ. — ა.



ბ — ს.

იდი სნის ნაცნობთ შორიდან, გვინდა ახლასაც გაცნობა, რომ თვით გადავცეთ ერთმანეთს ჩვენი ფიქრები და გრძნობა; გვინდა, მაგრამ ვერ ვახსენებთ, ხელს გვიშლის გარეშობა, — კანონი რიგებების ჩვენ სურვილს წინ ედგება; და ჩვენც, რადესაც შევთხოვეთ შეგვერდის, ფარულათ, ქუჩადივით მხალხლათ შეგვეხვედით ერთმანეთს და უსმით, ჩუმით გუდამით... მაგრამ ვინ უწყის, რამდენის

მთქმელია იგი დიმიდი?
ხშირათ ბევრ სიტყვარაზე
უფრო მკურ-მეტყველებს დუმილი..

დუტუ შეგრელი.



შენიშვნა ფოთის მოძველებს უფასო სა-
მკითხველო — ბიბლიოთეკაზე.



ოთხე და მის საქმეებზე ბევრი რამ არის დასაწერი, მაგრამ ამ ჟამათ ჩვენ მხოლოდ ერთ საგანზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას. ეს საგანი შეეხება ფოთში უფასო სამკითხველო ბიბლიოთეკის დაარსების საქმეს. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამკითხველო-ბიბლიოთეკას, აქ ამის განმარტება საჭირო არ არის; ეს ახლა ყველა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა პირმა იცის. საჭიროა მხოლოდ ამ სასარგებლო საქმის საუკეთესოთ მართვა-

მოწყობის შესახებ მოლაპარაკება. შესაძლებელია, რომ ბევრი ფული დაიხარჯოს და საქმე კი სასურველათ მაინც ვერ მოეწყოს; შესაძლებელია ცოტა საშუალებითაც შესაფერათ, კარგათ საქმის დაწყება. ფოთის სამკითხველო-ბიბლიოთეკის მეთაურებმა აუცილებლათ ამ უკანასკნელი ზომით უნდა იხელმძღვანელონ. მაგრამ სანამ ამაზე ვილაპარაკებდეთ, უადგილო არ იქნება მოკლეთ გადავცეთ მკითხველს თვით საქმის დასაწყისი და მისი მსვლელობა.

შეიძლება წინათაც ბევრჯერ აღძრულა კითხვა ფოთში სამკითხველო-ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ, მარა ამისი კვალი და შედეგი არ ჩანს. ჩანს ის, რომ მდგომარე წლის წარსულ თებერვალში ფოთის ახალგაზდობამ აღძრა კითხვა ამ საგნის შესახებ, შეადგინა თხოვნა, მოაწერია ზედ ხელი საზოგადოებას და მიართვა ქალაქის მოურავს ბ-ნ ნიკოლაძეს. ამ თხოვნაში დასაბუთებული იყო სამკითხველო ბიბლიოთეკის გახსნის აუცილებელი საჭიროება და აგრეთვე ის, რომ ამისთვის საჭირო ხარჯი იქნას ქალაქის თვით-მართველობამ. წარსულ ზაფხულში ეს თხოვნა განიხილა ქალაქის საბჭომ ბ-ნ ნიკოლაძის თამჯდომარეობით და დაადგინა მომავალი 1897 წლიდან სამკითხველოც ეძლიოს წლიურათ სამასი მანეთი ქალაქის საშუალებიდან. საბჭომვე არჩია კერძო კომისია, რომელშიაც შედიან არა ხმონებიც, და მიანდო მას ამ საქმის მოწყობა.

მაშ, მომავალი წლიდან ფოთს გაეხსნება სამკითხველო-ბიბლიოთეკა? არ ვიცით. არ ვიცით მიტომ, რომ სამასი მანეთი ძლიერ ცოტაა ამისთანა საქმისათვის. ამ ფულით სახლიც უნდა იქირავონ, საჭირო კაციც უნდა მოიწვიონ, წიგნებიც უნდა შეიძინონ და ჟურნალ-გაზეთებიც უნდა გამოიწვიონ... ცოტაა ეს ფული და ამით საქმის მოწყობაც შეუძლებელია, მაგრამ ფოთის ქალაქის საბჭო ამისთვისაც მადლობის ღირსია. ბათუმი გაცილებით მდიდარია ფოთზე, მაგრამ იქაურ საბჭოს ჯერაც არ გაუხსნია სამკითხველო-ბიბლიოთეკა და ვერც გახსნის, ვგონებ. ენას კბილს დავაჭერ, თვარა ვიცი, ბათუმზე ლაპარაკი შორს წამიყვანს და წყრომას არ ამამორებს.

უთუოთ საშუალების სიმცირემ მიიყვანა ზემოთ დასახელებული კომისია იმ დასკვნამდის, რომ მას უფიქრია, ვგონებ, კიდევ გადაუწყვეტია, სამკითხველო-ბიბლიოთეკის გახსნა ადგილობრივ საქალაქო სასწავლებელთან. აქ, რასაკვირველია, სახლიც უქირაო იქნება და სამკითხველო-ბიბლიოთეკის მართვა-გამკვირვებასაც, უთუოთ, ამავე სასწავლებლის უფროსი იქნება. ისიც სახეში მისაღებია, რომ ერთ და იმავე ღროს ვითომ კმაყოფილდება სასწავ-

ლებლის, რომელსაც ქალაქი ყოველ წლიურათ შემწობას აძლევს, მოთხოვნილება და სისრულეში მოდის საზოგადოების თხოვნაც!! პირველ შეხედვით ეს აზრი მოსაწონია, მაგრამ, თუ დააკვირდებით, — სულ სხვა აღმოჩნდება. მოგვხსენებთ, ერთ და იმავე დროს ორი შეუფის სამსახური და ორი კურდღლის დაჭერა ძნელი და შეუძლებელიცაა.

რა ექნება სასწავლებელთან გახსნილი სამკითხველო-ბიბლიოთეკა? სასწავლებლებთან გახსნილ სამკითხველო-ბიბლიოთეკებში საზოგადოთ, და დაბალ სასწავლებელთან განსაკუთრებით, ნება-დართული არ არის ყოველ გვარი წიგნის და ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, შექმნა. აქ ნება-დართულია მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც ხელს უწყობენ მოწაფეების განვითარებას და ამავე დროს არ აშორებენ იმათ თავის პირ-და-პირ საქმეს—გაკვეთილების სწავლას. ხალხისთვის კი სულ სხვანაირი წიგნებია საჭირო. ამასთან არ უნდა დაევიწყოთ ისიც, რომ სამკითხველო-ბიბლიოთეკა უნდა დაარსდეს ფოთში არა მარტო უფიცი და განუვითარებელი ხალხისათვის, არამედ ესრეთ წოდებული ინტელიგენციისათვისაც. მერე ამ უკანასკნელს დააკმაყოფილებს ის, რაც მოწაფეებისათვის და ხალხისთვის საკმარისა?

დამეთანხმებით, რომ სამკითხველო-ბიბლიოთეკა უნდა იყოს გამართული ისეთ ადგილს, სადაც ხალხი იკრიბება, სადაც ხშირი გამვლელ-გამომვლელია, ერთი სიტყვით, სადაც მეტი მოძრაობაა. ამასთანავე ადგილზე გამართული სამკითხველო-ბიბლიოთეკა ყველას მუდამ თვალ წინ ექნება, ყველას ყურადღებას მიიქცევს და, რაღა თქმა უნდა, ბევრს მკითხველებსაც შეიძენს. მერე აკმაყოფილებს სასწავლებელი ამ მოთხოვნილებას? ვერა. სასწავლებელი დგას მიმალულ-მიყრუებულ და განაპირა ადგილს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სასწავლებელში, თუნდა შუა-გულ ქალაქში იყოს იგი, თავისუფლათ ვერ შევა არა თუ უცხო და ახალ ჩამოსული, არამედ თვით ქალაქის მკვიდრიც.


ექნება თუ არა ფოთის საზოგადოებას სამკითხველო-ბიბლიოთეკა? თუ სასწავლებელთან გაიხსნა არა, ხოლო თუ სხვა გვართ მოხერხდა კი. მოხერხდება კი სხვა გვართ საქმე? რატომ არა?! თუ კი ქალაქის საბჭომ გადადვა წლიურათ სამასი მანეთი, ნუ თუ საზოგადოებას არ შეუძლია თავის მხრითაც ცოტა რისამე მამატება? თუ კი ფოთის საზოგადოება კლუბისათვის როიალის შესაძენათ საღამოებს მართავს და ფულს აგროვებს, — სამკითხველო-ბიბლიოთეკისათვის უ რა არ გამოიღებს თავს? ეს ხომ ექვს გარეშეა. ვინ უნდა იკისროს ამ საქმის მეთაურობა? რასაკვირველია, ქალ-ვაჟთ ახალგაზდობამ. ქალების

მეცადინეობით კიდევ უფრო ადვილათ გაკეთდება საქმე, თუ მოინდომებენ და შრომას მიიღებენ.


სიამოვნებით აღვნიშნავ იმ ფაქტსაც, რომ ფოთის მესტამბე ბ-ნი ლ. ტულუში, როგორც თვითონ მითხრა, ერთ მოზდილ ოთახს უთმობს სამკითხველო-ბიბლიოთეკას თავის სტამბათან, რომელიც საუკეთესო ადგილს გადააქვს. იგივე ტულუში კისრულობს მართვა-გამგეობასაც თუ მას საჭირო კაცის დასაქირავებლათ წლიურათ ათ თუმანს მისცემენ. თუ კი ერთი კაცი ამდენ სამსახურს უწევს ამ საზოგადო საქმეს, რაღა თქმა უნდა, სხვებიც გულ-ხელ-დაკრფილი არ დარჩებიან.

დასასრულ კიდევ ვიკითხავ; ექნება თუ არა ფოთს სამკითხველო-ბიბლიოთეკა? რასაკვირველია, ექნება, მით უმეტეს, რომ არც ისე საძნელოა მისი გახსნა, როგორც პირველ შეხედვით ეგონებოდა მკითხველს. მაშ, ეუსურვოთ ამ საქმეს წარმატება!

თ. კიკვაძე.



ჩვენებური ფაუსტი.



გეულებრივთ მოვიდა
მწარე მქუჩნაჲ ნაღველი,
ნაღველი, რომელიც არის
გატობრიობის მტანჯველი..

ქვეყანა მხალათ ცისკა
გატისა დამტყვეპებელი
და არა მისი საშობლო
მომღსენი გამსარებელი!

დაის ცისკა... ბუნებაც
ერთგულ-ერთსულათ დაწჯობს
და კაცთა ტანჯვა-გაებით
ეგოსტურათ ააყობს...

ოჲ, რომ დაქსნა ამ ცისკს,
მოკშობდეს ქვეყნის არესს,
გადავიკარგო სადღაც შობს
და გაჭნდეს ისეთს მსარესს,

რომ შესაძობთ გავსილ ქვეყანას
 თვალი ვეღარას წვდებოდეს,
 გამგებინაუი ხმა ხალხთ კენესის
 ყურს აღარ ეუფრებოდეს;

რომ სსჯა სინათლე მიძლადეს,
 სულ სსჯა ჭკუნი მათრებდეს
 და იქნუნას სამყაროს
 სულ სსჯა საგნები ამგობდეს...

რას, შეღიბსას თუნდ ერთ წუთს
 თავისუფლებით ღატკებობს,
 რომ გუღს არ მწუგებდეს ვგებფრის
 ასე უგცრვი დათმობა...

მაგრამ ვაი რომ ვგებ ეს
 არის უბრადღო სურვილი!..
 რამ მოჭკლას, თუ არ სამარემ,
 კარის უსაზღვრო წყურვილი...

ბ. ღავითაშვილი.

ვაჟა-ფშაველას პოეზია. *)

(კრიტიკული ცდა.)

(დასასრული)

ცაცხლი ჭკრთებოდა ღვეღფშედა.
 ჩონგურს უკრავდა დროული;
 კაცი რამ უჯდა გვერდზედა,
 დამღერდა გმირობისასა,
 მამა-პაპათა ცდისასა:
 როგორ არბევდენ ფშავ-ხევსურთ,
 ს.სხლს არ არჩენდენ მისასა,
 ვგებღან მადლობას სწირავდენ
 მარჯვენას ვაი უპისასა.

ვაჟა.

მკითხველი გაკვირვებას მიეცა. ნუ თუ იმი-
 ტომ დაადგით ვაჟა-ფშაველას პოეტური გვირ-
 გენი, რომ ბოლოს სამეფო ტახტიდან მისი
 ჩამოქვეითება გინდოდათ, იმიტომ შეუუკერეთ კრიტი-
 კული ნემსით პოეტური მანტია, რომ შემდეგ

თქვენნივე კრიტიკული მაკრატლით დავეკრათ და
 ნაკუწ-ნაკუწათ გექციათ!? ეს ასე განსაზღვრულ
 სანახაობით, მეორეთ კი სურათს სახე უნდა შეე-
 ცვალოს. იმიტომ არის ყურადღების ღირსი ჩვენი
 პოეტი, რომ მისი შემოქმედება ჩვენი ხალხის ბუნე-
 ბითა და ხელ-უხლებელ ნიჭიერებას მოწმობს. ეს
 ნიჭი ცოცხალი ნიჭია, წარსულს ჟამთა მედგარი
 რისხვა-კრულვისაგან შეუფუსრაეი და იმიტომ მომა-
 ვალშიაც კეთილ-საიმედო. ჩვენი ქვეყნის გულში
 ინახება მადანი ძვირფასი და პატიოსანი, ხოლო მას
 მიგნება და ამოღება უნდა. მაგრამ, როგორც ბუნე-
 ბითი მადანი, ისე ჩვენი ბუნებითი ნიჭაც ნათელმა,
 ევროპიულმა კერამ უნდა დაადნოს და შეამუშავოს,
 თორემ ისე დღევანდელ ცხოვრებაში იგი „ერთ ჩი-
 რათაც“ არ ეღირება. რაც უნდა თავ-მომწონობდეს
 ოქრო, ჩემი ქვეყნის, ჩემი დედა-მიწის გულის საუნჯე
 გახლავარო, მას არაფერი ფასი არა აქვს, სანამ იგი
 ქვეყნათ არ გამოცხადდება და ჭეშმარიტი განათლე-
 ბის ცეცხლით არ მოინათლება.

არც ერთ ვაჟა-ფშაველას პოემაში თქვენ არ შე-
 ხედებით სულდგმულ ადამიანს, ადამიანური ფერიტა
 და იერით შემოსილს. ყველა მისი პოემები მთიელ-
 თა სულის რამდენიმე მძლავრი თვისების სადიდე-
 ბელათ არიან შექმნილნი. ეს იმიტომ არის, რომ
 ხალხური შემოქმედება ადამიანს, ამ წუთი-სოფელში
 მის ღირსებასა და მნიშვნელობას ვერ იცნობს, და
 თავის დღეშიაც ვერ გაიცნობს, თუ განათლებული
 ქვეყნების ჭეშმარიტ ცოდნასა და გამოცდილებას არ
 დაეწაფება.

ჩვენი ერთი ვაჟას შემოქმედებას ჰგავს ყოველის-
 ფრითა მასავით ბავშია, მართლა ცოცხალი და გრძ-
 ნობიერი, მაგრამ ჯერ-ჯერობით უძლურ-უსუსური,
 ნამდვილ — კაცობრიული შემოქმედების უცო-
 დინარი. ამ ბავშვს მხოლოდ ევროპიული სკოლა ას-
 წაელის ცხოვრების ვითარებას, და ამ ცხოვრებაში,
 დაძველებულ ფშაველ გმირთ კი არა, ნამდვილ
 ძღვეა მოსილ განათლებულ მოღვაწეთ გამოიყვანს
 ვაჟას ისე არ ეხერხება გულის ნაზი საიდუმლო-
 ების გამოთქმა, როგორც ხავს-მოკიდებულ, ფარ-ხმა-
 ლით აღჭურვილ მთიელს განათლებულ საზოგადო-
 ებაში სალაზათო „ქცევა-ქმნანი“. ვაჟას წერილი
 ლექსები ერთობ სუსტობენ: ამ ლექსებში მიჯნური —

„ქალთან პიჩღაპიჩ მივიდა.

„კით ამოწვდილი მსხვილი.


და ექვი არ არის, რომ —

„ქალის გუღს იგი სურათი

„შიგ გაეყარა ისრად.

მკითხველი ნათლათ ხედავს, რომ სატრფიალო

*) იხ. „გაბა“, № 51.



ლირიკაში ძველი ფშაფური, ჩვენ დროში მყუდროთ კედელზე ჩამოსაკედებელი, ხმალ-მშვილდ-ისარი არ ვარგობს.

ვაქასაგან შექმნილ გულს—

„—ბეჭდი რომ უნდა, ტიფსს,

„ხანა გალაღებული.

და, რასაკვირველია, სხვა რა სათქმელი აქვს ამ გულს, თუ არ:

„დაჭდი მაქვს მძიმე, ძმობილო,

„გულს დაბჭენილი რქითაო.

აქ გულისა და მისი ჯავრის ბრძოლა მძლავრი ხარების ჭიდაობა-შეტაკებას მოაგონებს ადამიანს და განა აქვს რამე საერთო ადამიანის ნაზსა და სათუთათ აღზრდილ გულს უჯიშო და გაუქნელ ნახირთან?

პოეზია ადამიანსა და მისი სულის განათლებას უნდა ემსახუროს, თუ სურს ნათელი კვალი დატოვოს ამ ცხოვრებაში. პოეზიამ უნდა აჩვენოს, უნდა თვალ-წინ გადაუშალოს ადამიანს მისი კაცური სულისა და გულის ფარული საუნჯე; პოეზიამ უნდა ასწავლოს ადამიანს, რა შეუძლია ადამიანის გულისა და სულის ძლიერებას; და მხოლოდ ამისთანა პოეზიას აქვს საუკუნო, უკვდავი მნიშვნელობა.

ხშირათ გაიგონებთ ხოლმე ჩვენ საზოგადოებაში შემდეგ მსჯელობას: „რა დროს პოეზიაა, რა გვეპოეზიება, ცხოვრების ჭიდილია გაცხარებული, ლამის შემშლილთ დაეხიბოცნეთო!“ ამ მსჯელობაში ზოგი რამ მართალსა ჰგავს, ბევრი კი სიმართლეს არის მოკლებული. მართალია ის, რომ ცხოვრების ჭიდილი, მეტადრე ჩვენი ქართული უვერული ცხოვრებისა, პოეტური ჰანგების შემქნელი კი არა, მათი მყლაპვე-შთამთქმელია. ჩვენი დროის ვითარებას რომ უკვირდებით, მართლაც გვაგონდება რუსთაველის სიტყვები: „არა შევნი ყვაესა ვარდიო“... მაგრამ ამის მიზეზი თვით ჩვენა ვართ, ცხოვრების ჭიდილში გაბმულნი: ვიბრძვით და არ გვესმის კი რათა და რისთვის. ნუ თუ იმისათვის არის გაჩენილი ადამიანი, რომ ამ წუთი-სოფელში ერთი კარგათ გამოძღვს სხვისგან ნაალაფევითა და მერე საუკუნო განსვენებას მისცეს თავი? ნუ თუ იმიტომ არის ადამიანი აღჭურვილი სულისა და სხეულის ძლიერებით, რომ ამ წუთი სოფლის ბრძოლა-ვარამში გაიმარჯვოს, გამარჯვებული კუჭის დროშა მალლა დაიჭიროს და სამარის კარამდრი მიაუკრია ოსნი?!

ქვემოთ ცხ ვრებაა მხოლოდ ბოროტებასთან ბრძოლა ჩაუდგამს სულსა, და პოეზია ადამიანის გულში ზეგარდმო შთაბერილი გამამხნეველი ჰანგია, მომავლის დამფუძნებელი იმედი. ჩვენ, სხვებზე უფ-

რო ჩვენ გვეჭირება გამამხნეველი იმედი, და ცუდ-მუღსა და უმეცრების წყედითადი გარემოცვაში მუქა ხალხს; ჩვენი შინაური კირ-ვარამის რგუნვას დიდი განათლებული ძალა ეჭირება, დიდი იმედი უნდა გვიღვიოდეს გულში, რომ ჩვენი მრისხანე ბედის წერას არ შეუდრკეთ და არ აღვიგავოთ პირისაგან ქვეყანისა


„გვიშველეთ, თორემ დავიღუპებითო!..“ შეუთვალეს მტრებით გარემოცულმა ძველმა სპარტანელებმა თავის მოძმე ხალხს, ძველ-ათინელ ბერძნებს. ათინელებმა მათ საპასუხოდ ერთი პატარა კოჭლი მკოსანი გაუგზავნეს, სახელათ ტირტი. ეს კოჭლი პოეტი წარუძღვა სპარტანელ ლაშკარს, განამხნევა და უძღვევლი სული ჩაუდგა სპარტანელ მეომართ თავისი შეწიერი ჰანგებით, მტრებს თავ-ზარი დასცა, გაფანტა და განდევნა სპარტანელთ სამფლობელოდან.

ამავე ტირტიმ მოსპო თავისი განთქმული ელეგიით სპარტანელთ შორის შინაური შუღლი, საერთო ყანების გაყოფის შესახებ ჩამოვარდნილი.

ეს ისტორიული ფაქტები ნათლათ მოწმობენ იმას, თუ რა ცხოველი ძლიერების წყაროა პოეზია. დღევანდელი ცხოვრება თან-და-თან უარ ჰყოფს ცეცხლისა და მახვილის მოძღვრებას, ტირტის გამამხნეველმა ჰანგებმა ახლა ჩვენი დროის დაგვართ უნდა იცვალონ ფერი. ჩვენი დრო უმთავრესათ ადამიანის ფიქრთა და გრძობათა განათლების მოციქულია იმ ჰანგის დროშაზე, რომელმაც სპარტანელ მტრებს თავ-ზარი დასცა, მტრებისაგან მამულის განთავისუფლება ეწერა. ჩვენ დროში კი თან-და-თან ნათლათ იჩენს თავს განათლებული რწმენა: ხალხის დაუძინებელი მტერი მისი შინაგანი უმეცრება, გარყვნილება და ბოროტებააო; ის უღრღნის ხალხს ჭიასავით გულს და ბოლოს, არსაით შეველა თუ არ იქნა, სიცოცხლეს მოუშპობს, თვალებს გამოუღამებსო.

იმით არის შესანიშნავი ადამიანის ბუნება, რომ მისი სულის ძლიერება კეთილ-ცვალებადაა. „ალტრუიზმი დამდნარი ეგოიზმიოა“, — ღრმა-აზრიანი სიტყვებია. ბოროტი ძალა, რომელიც ადამიანში ცოცხლობს, თუ დაითრგუნა, თუ მორჯულდა, თავის ძლიერებას არ ჰკარგავს. ის ძალა, რომელიც ადამიანის ბუნებაში, ბოროტებას ემსახურებოდა თავის და თავათ „ძალათ“ დარბა, სულაც არ გამქრალა, მხოლოდ ახლა იგი კეთილის მსახურია. ადამიანის გულში შენახული ყინული დადნა და ცხოვრების წყლათ იქცა.

ძველი დროის მოძღვრება, გარეშე მტრების ვაჟკაცი სიძულილი, ჩვენ დროში თვით ჩვენ შორის დაბუდებულ ბოროტების სიძულილათ უნდა



გადაიქცეს. ის ერია ჩვენ დროში მტკიცე ნიადაგის მექონე, რომელიც სხვების სიძულილს არ ქადაგებს, და თავისი შინაგანი ვაკეთილშობილების გზას ადგია. ძველი დრო ძველ ჰანგებსა მღერდა, ჩვენ კი სულ სხვა კილოზე უნდა ვაქლეროთ ჩვენი ჩანგი. ტირტეის აღფრთოვანებულმა სიტყვამ მთელ ლაშკარს უძლეველი სული ჩაუდგა და მტერს თავ-ზარი დასცა. დღევანდელი ევროპიული პოეზია კი ადამიანის სულის სხვა გვარი, უფრო წმინდა და მაღალი ძლიერების მაჩვენებელ-მად-დებელია. ტირტემ და ფშაეურმა პოეზიამ თავისი დრო მოჰკამა. იმათში გამოხატულმა სულის ძლიერებამ ჩვენ ცხოვრებაში ფერი უნდა იცვალოს, უნდა გადადუღდეს, გაწათლებულ, ინტელლიგენტურ ძალათ უნდა შეიქნეს. მხოლოდ ამნაირათ გახდება, იგი ჩვენი დროის წრფელ და მართალ გულის-პასუხათ.

„ადამიანის გენიის კერაზე უნდა დაიწვას ამ სოფლის ბორცუბა“, — ამბობს სიბრძნე აღმოსავლეთისა. ადამიანის მძოვრმა სულის ვითარებამ უნდა გასწმინდოს, უნდა გადადნოს ეს წუთი-სოფელი, და ჩვენ ეს იმედი გვასულდგმულებს და გვასაზრდოვებს. კაცობრიობის მომავლის განმანათლებელ-განმაახლებელნი ძალნი დღეს ცოცხლობენ მ-ს სულსა და გულში, უამისოთ ამ წუთი სოფლის კირ-ვარამი ადამიანისათვის აუტანელი იქნებოდა.

ძველ დროს მტრების ზარ-დამცემი რისხვა მიაჩნდა უმაღლეს ფათერაკათ და მან შექმნა პოეზია გმირული, რომელიც მისი გულის სარკვე იყო და განამტკიცებელიცა. ჩვენ დროს კი ამგვარი პოეზია სულს ვერ განუმტკიცებს, ნიადაგს ვერ მისცემს საცხოვრებლათ. ჩვენი დროის გმირობა განათლებული ფიქრისა და გრძნობის გმირობაა, სოფლის ბიწიერების დამწველ-გამაქრობელი. მართალია, ჯერ-ჯერობით ფიქრი უსწრობს გრძნობას და გარეშა მოყვლაფერს თავის დაღს ასვამს, მაგრამ ეს ჯერ დროებითაა. ამ წუთი-სოფლის მაცხოვრებელი მხოლოდ ფიქრისა და გრძნობის ჰარმონიაა, მწყობრი თანხმობაა.

ძველი გმირობა ჩვენში ახლა მარტო ფორმათ, სამოსლათ თუ გამოდგება, იმ ფორმათ, რომელიც კაცობრიული შინაარსით უნდა აივსოს. შეხედეთ რკინის გზას, ჩვენი დროის მატარებელს, ღამე თვალეზ-ანთებულ-აბრიალებული რომ მოჰქუხს ღეთის-რისხვა გველ-ვეშაივითა. მას ხომ მხოლოდ ბუმბერაზული ფორმა-გარეგნობა აქვს შეთვისებული, მისი შინაარსი, მისი გული კი „მაღალი და მაღლათ მხედი“ ბრძენის გულივით ჩილი და წყნარია. ჩვენი თანამედროვე ადამიანის ფიქრის თაყვანის-მცემელნი, დიდნი და წვლილნი, იტყვიან, რასაკვირველია: „ეს მატარებელი უმთავრესათ ადამიანის ფიქრის მატარე-

ბელიაო. ქვეყნიერებას მხოლოდ მესტ გულჩეფქურის გატარ-გამოტარება მოჰკერის ცხოვრებასაო“. ეს მსჯელობა მხოლოდ თავის აზროვნების ძლიერებაზე დანდობილი ჩვენი დროის ცალ-მხრივი და დღე-მოკლე ნაყოფია. ფიქრი და გრძნობა თანასწორათ შექმნა ადამიანის ბუნებამ და ისინი თანასწორათ ძვირფასნი არიან მისთვის.

რა გვეთქმის ახლა დასასრულ ჩვენ პოეტზე, გარდა იმისა, რომ იგი ჩვენ ძველთა ძლიერების პოეტია, ძველ-ფშაეულთ მამა პაპეული გმირობა და მძლავრა გულის თვისებანი გაგვიცოცხლა თვალ-წინ, მაკრამ ძველი ჰანგები; რაც უნდა შევნიერებთ შემოსოთ ისინი, ჩვენ დროს ვერ შევისისხლ-ხორცებიან. ვაჟა ფშაეულამ თავისი გმირული ჩანგის ქღერით გულში ძველებურ-ჩვენებური ვაჟაკური გრძნობა გაგვიღვიძა, ჩვენ ფიქრებს კი, ჩვენ აზროვნებას არაფერი შემატა, არაფერი საზრდო არ მისცა, და ამიტომ მისი ღირსება და მნაშენელობა ჩვენ ცხოვრებაში წარმავალია. ეს არ ითქმის მის ძმებზე, ბაჩანასა და თედოზე. თედოს „შავი ფიქრები“ ადამიანის გულის ღრმა საიდუმლოთა მხილებაა და იმათში ნათლათ გამოიხატება ჩვენი ცხოვრების ვითარებაზე მწუხარეთა და საყვარლათ დაფიქრებული პოეტის პიროვნება.

ბაჩანას ლექსებშიაც ცხოვრების იღუმალი სიმების ქღერა მოგვემის.

ვაჟა-ფშაეულას ჩვენი სულით ღარიბი ცხოვრების ვითარებამ გადამეტებული ქება-დიდება აღიარა. ყველას გვახსოვს რა სამწუხარო შედეგა მოჰყვა ამ მოვლენას. „მე აქა ვარ, ვაჟა ფშაეულა, დედა-მიწის მუშაკიო, და რა გიქირთ, რომ თქვენც ჩემ მაგალითს შეხე ოთო“, შეუთვალა ვაჟამ ჩვენ ღარიბ სტუდენტობას პოეტმა პოეზიის დანიშნულება და ღირსება დაივიწყა და თვისივე ხელით შემზადებულ კვარცხლბეკზე ამართა თავისი პიროვნება. პოეტის სახე, მგონის გარეგნობა მხოლოდ ფორმაა, კონვერტია, რომლითაც ჩვენ ზეცით სანეტარო უსტარი მოგვდის. და განა საოცარი არაა, რომ ამ ჩვენ წუთისოფელში ფორმა შინაარსობას ჩემულობდეს, ხორც-შესხმული ადამიანი თავის სულის უხილავ საუნჯენიჭით ამყობდეს! რაც უფრო მაღლა დგას შემოქმედების სამფლობელოში პოეტ-მხატვარი, მით უფრო შორს განსჭვრეტს ქვეყნიერებას და ამ წუთისოფელში თვის სიმცირესა და წარმავლობას ხედავს, „რაც უფრო ივსება ღეთისკან მოცემული პურის თავ-თავი, მით უფრო დაბლა იხრის თავს განგების წინაშე, წყნარი და ღეთის მორჩილი“, თქვა მთელ-კაცობრიობის პოეტმა ჰანს ქრისტიან ანდერსენმა.

უკახეთიდან.

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II*)

ს კ ო ლ ა.



მასწავლებელი 30 წლის სამსახურს შემდეგ ლეებულობს სრულ პენსიას. პენსიის ჯამი შედგება ხაზინის ფულისაგან და თვით მასწავლებელთა გადასახადისაგან. ესენი ვალდებული არიან საპენსიო კასაში შემოსავლის რამდენიმე ნაწილი შეიტანონ. მასწავლებელი რაც უფრო ხანში შედის და შემოსავალიც ემატება, მით უფრო მეტს იხდის. საპენსიო კასაში შესატანი გადასახადს რაოდენობა კანონით გადაწყვეტილია ამნაირათ:

მასწავლებელს როცა 30 წელი შეუსრულდება, ნამდვილ შტატის მასწავლებლათ ინიშნება. ამ დღიდან ის ვალდებულია საპენსიო კასაში ყოველ წლივ შეიტანოს:

30 წლისამ	—	—	50 მარკა
35 „	—	—	90 „
40 „	—	—	180 „
45 „	—	—	270 „
50 „	—	—	360 „

უკანასკნელ ხუთ წელს არას იხდის, როცა სამოცი წელი შეუსრულდება თავის სურვილით სამსახურიდან თავისუფლდება და პენსიას ლეებულობს. თუ მასწავლებელი გადაიცვალა, პენსიას ცოლი ლეებულობს და შვილებს ცალკე დახმარებას უჩვენენ. ავთამყოფობის დროს იღებს სრულ ჯამაგირს, წამალი და ექიმი სახელმწიფოა. თუ კი მისისენი უკურნებელია, ან და ისე მოუძღურებელია, რომ შრომა აღარ შეუძლია, სამსახურიდან ითხოვენ და პენსიას უნიშნენ. პენსიის რაოდენობა დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენი წელი უმსახურია და რანაირ ოჯახურ გარემოებაშია. თუ უშტატო მასწავლებელი ანუ კანდიდატი ავთ გახდა, სრულ ჯამაგირს ლეებულობს მხოლოდ 90 დღის განმავლობაში, მთავრობის ნება-რთვით ეს ვადა 180 დღემდის შეიძლება გაგძელდეს, ხოლო კიდევ მეტი გაგძელებისათვის სამინისტროს ნება-რთვაა საჭირო. როგორც ამ ხარჯს, ისე წამლობისას სახელმწიფო ლეებულობს თავის-თავზე. ეს უკანასკნელი შარშან დააკანონეს. მასწავლებელთა სამსახური სახელმწიფო

სამსახურათ არის შერაცხული. მასწავლებლებს მსახურიდან დათხოვა ან „გამოგდება“ რაიმე მოლოტიკური აზროვნების და მოღვაწეობის მიზეზით არ შეიძლება.

თუ აქაური მასწავლებლები ასეთ ნივთიერ მდგომარეობაშია, ამის უპირველესი მიზეზი თვითონ მასწავლებლებია. ისინი დაუცხრომლათ იბრძვიან თავიანთ-თავის უზრუნველ-ყოფისათვის. მათი აგიტაცია, თხოვნა-მოთხოვნებიანი, თავიანთი ეკონომიური პირობების გამორკვევა, თავიანთი საჭიროების გამო-აშკარაება და მასზე ხმა-მალლა ლალადა, აი მათი მოქმედების დახასიათება. მარა ყველა ამას თითოეული თავ-თავისთვის ცალ-ცალკე კი არ აკეთებს, არამედ ერთათ, შეერთებული ძალ-ღონით, საზოგადოების შედგენით. კერძო პირის ლიჭინი, ჯამაგირი მომიმატეო, ერთნაირი მოწყალეებაა. ხოლო მთელი გუნდის, კორპორაციის ასეთივე მოთხოვნილება უეჭველი მოვალეობაა. პირველ შემთხვევაში აღამიანის პირადობა დამცირებულია, მეორე შემთხვევაში დამცირებას ალაგი არ აქვს, ეინაიდან ერთმანეთს ხედება არა ორი პირადობა, არამედ ორი დაწესებულება. როცა ერთი მუშა ფაბრიკანტის კანტორაში შეიპარება და მუდარას მოყვება შენი ჭირიმე ცოტა დღის ქირა მომიმატეო, მაშინ მასში თავ-მოყვარეობა ძალა-უნებურათ ჰქრება და სხვის თავ-მოყვარეობის სხვერპლათ ხდება. მარა როცა მუშათა საზოგადოება, სინდიკატი, იმავე კანტორაში თავის წარმომადგენელს გზავნის: ყველა მუშებს ქირა მოგვიმატე, თორემ მუშაობას შევწყვეტთო, აი მაშინ მუშის თავ-მოყვარეობა, თავის-თავის ღირსება და პატივის-ცემა გამქრალი კი არა, გაძლიერებული და ამალღებულია. მართალია, მასწავლებელთა საზოგადოება მთავრობას მუდამ ემუქრება ჯამაგირის გამო, მუდამ „კუჭის კითხვას“ თავს დასტრიალებს, მარა განა ეს მისი მოვალეობა არ არის? ის თხოულობს არა სამოწყალოს, არამედ იმას, რაც უნდა ეკუთვნოდეს და რასაც არ აკუთვნებენ.

გასულ წელს ვიურტემბერგის მასწავლებელთა საზოგადოებამ დეპუტატთა საკრებულოს ასეთი თხოვნა წარუდგინა:

1) მასწავლებლის კანდიდატი ნამდვილ მასწავლებლათ დაინიშნოს, როცა 25 წელი შეუსრულდება და არა 30 წელი.

2) მასწავლებელს დაენიშნოს 30 წლამდე 1100 მარკა წლიურათ, 30 წლის შესრულებას მერე 1200 მარკა და ყოველ სამ წელს 100 მარკა მიემატოს (Alterszulage), სანამ ჯამაგირი 2000 მარკამდე არ შესრულდება. (აქ მარტო გადაჭრილ ჯა-

*) იხ. „გაზეტი“ № 51.

მაგირზე არის ლაპარაკი და არა ზედ მეტ შემოსავალზე).

3) ყველა მასწავლებლის ჯამაგირი გადახდილი იქმნას ხაზინიდან და არა საზოგადოების კასიდან.

4) ეკლესიაში საკრების დაკერისათვის მასწავლებელს სასყიდელი მიეცეს და სხვ.

მაგრამ მასწავლებლები მარტო სხვებს არ შეუტრებენ: იმავე დროს მეცადინეობენ თავიანთი მდგომარეობა ერთმანეთის დახმარებით, შეწყვეით და ხელის გამართვით გაიუფლებენ. ამის საშუალებაა საურთი-ერთო დახმარების კასების დაარსება. პირველი ასეთი კასა დაარსდა ამ წლის წინეთ ქულში. შემდეგ ეს აზრი თან-და-თან გავრცელდა და დღეს ვიურტემბერგის „მასწავლებელთა საურთი-ერთო დახმარების საზოგადოებას“ ხუთი სხვა-და-სხვა დანიშნულების კასა აქვს. შარშანდღამდი თითოეულ მაზრის მასწავლებელთა საზოგადოებას თავისი კასა ჰქონდა (სულ 13 ასეთი საზოგადოება). ხოლო შარშან ერთმანეთს თანხმობით ყველა ეს განცალკევებული კასები შეაერთეს და ერთი საზოგადო მიმართულება მისცეს. აი, რა დანიშნულების კასებია: 1) ქვრივ-ობოლთა კასა, 2) ავთმყოფთა კასა, 3) დამარხვის კასა, 4) დაწერს კასა, 5) დახმარების კასა. წვერათ მიიღება ყველა სახელმწიფო თუ კერძო მასწავლებელთა მასწავლებელი. საზოგადოების ნამდვილი წევრია მხოლოდ ის, რომელიც ქვრივ-ობოლთა და ავთმყოფთა კასის წევრია. ვინც თავის ნებით მასწავლებლობას ტოვებს, წვერათ შეუძლია დარჩეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი და მესამე კასიდან მის მიერ შეტანილ ფულის მეოთხედს უსარგებლოთ უკანვე დაუბრუნდეს, ხოლო ვისაც ძალათ ატოვებინებენ მასწავლებლობას, უბრუნებენ შეტანილი ფულის ნახევარს. კასების შემოსავლის წყაროა: წვერათ ჩაწერის გადასახადი (1 მარკა), წლიური გადასახადი (ეს სხვა-და-სხვა კასა სხვა-და-სხვაა. აქ ჩვენ დაწერილობით არ ავწერთ). სათადარიგო თანხის სარგებელი, კერძო შემოწირულება, საზოგადოების ლიტერატურული გამოცემათა მოგება და სხვ. პირველი კასიდან დაობლებულ ოჯახს შეუძლია 100 მარკა წლიურათ მიიღოს. ობოლს 15 წლამდე შემწეობა ეძლევა. მეორედან დახმარებას დაუბრუნდეს ის, რომელიც სამი თვე უკვე წვერათ არის ჩაწერილი. ერთი ავთმყოფისთვის შეიძლება დახმარებას არა უმეტეს 240 მარკისა. მესამე კასა თავის-თავზე დაუბრუნდეს წვერათ დამარხვის ხარჯს და მეოთხე კასა ცეცხლით, მეხით ან აფეთქებით დაზარალებულ ოჯახს ეწევა. მეხუთე კასა არის, ასე ვთქვათ, დამატებითი კასა, მისი მიზანია შემწეობა მისცეს ზე-

მოთ მოხსენებული კასების ისეთ წევრთ, რომელნიც იქიდ 5 საკმარის დახმარებას ვერ დაუბრუნებენ. ამას გარდა, აქედან შემწეობა ეძლევა მასწავლებელს ავთმყოფობის დროს. კასების ხარჯთ აღრიცხვა გამოცხადდება საზოგადოების ორგანოში „სასოფლო სკოლა“.

ასეთია, მოკლეთ, სახალხო მასწავლებელთა გონებრივი და ქონებრივი მდგომარეობა 1). ის ორივე ასპარეზზე აქტიურ როლს თამაშობს, ის იბრძვის როგორც სახალხო განათლების, ისე თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ორივე მხარე ერთათ მიდის, ორივეს ერთნაირი ყურადღება ექცევა. აქაურ სკოლათა დედა — ძარღვი მასწავლებელთა ასეთ დაუცხრომელ მოქმედებაშია დამარხული. სკოლის ბოძი მისი მასწავლებელია. სახალხო განათლების ასპარეზზე თუ რამე კეთდება, თუ ახალი კანონი და წესები გამოიცემა, სწავლების ახალი მეთოდი და ახალი სახელმძღვანელო ბატონდება, — ყველა ამის მიზეზი, დამწყები და გამაგრებელი თვით მასწავლებელია. იღვას, რომელიც მასწავლებლობას ამოძრავებს, პაულობს მალა, მთავრობის სფეროში, თავის კანონიერ გამოხატულებას. ის ეხება არა მარტო პედაგოგიურ კითხვებს, მუშაობს არა მარტო სწავლის გაუმჯობესებისათვის. არა, ეს მათთვის ცოტაა, მას ასე ვიწროთ არ აქვს თავისი სარბიელი შემოფარგლული. რაც მას აღეგებს და მოძრაობისკენ აქანებს, ეს არის სახალხო განათლების მთელი სისტემის შეცვლა, მისი ძირიანათ გადასხვაფერება, სკოლიდან ეკლესიის გამოდევნა, სასულიერო პირთა ბატონობის თავიდან მოშორება, და მით სწავლა-განათლების გავრცელება და ერთიანათ გაქალაქება.


გერმანიის სკოლა ისეთ ფარგალში იმყოფება, რომ თავის-თავის განვითარებას საზღვარს უდებს. ის შედგება ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე და მეტოქე ელემენტისაგან. ის დგას ორ სხვა-და-სხვანაირ ნიადაგზე აშენებულია ორ სხვა-და-სხვანაირ საძირკველზე. ის არის ერთ და იმავე დროს კლერიკალური და მოქალაქობრივი დაწესებულება. მისი მიზანია მოსწავლე შეიარაღოს როგორც რელიგიური, ისე მოქალაქობრივი ცხოვრებისათვის. ამით ის თავ-

1) ჩვენ აქ ანაუკრი გვითქვამს განსაკუთრებით მასწავლებელ ქალთა შესახებ. პირველათ იმის გამო, რომ მათი რიცხვი მკაცრად, მეორეთ რაღაც საზოგადოათ მასწავლებლობაზე ვთქვით, ესება ორივე სქესის მასწავლებელთ; განსხვავება იმაშია, რომ ქალი ნაკლებად მამაკაცს დაუბრუნდეს და მასწავლებლობის საფუძვლზე უფრო დაბლა დგას, ვინმე მამაკაცი. განათლებას დაუბრუნდეს სხვა-და-სხვა საქალაქო სასწავლებლებში.

ვის თავში აერთებს წარსულს და აწ-მყოს. ერთი შეხედულებით ეს ანეც უნდა იყოს, ეს არაერთარ უკულმართობას არ უნდა შეიცავდეს. მაგრამ თუ ორივეს ძირს გავუშინჯავთ, გავიგებთ რაში მდგომარეობს აწ-მყო, მოქალაქეობა ერთი მხრით და წარსული, კლერიკალობა, მეორე მხრით; მაშინ ცხადი იქნება მათი ერთ და იმავე დაწესებულებაში შეურიგებლობა და მთელი სისტემის უსწორ-მასწორება.

სახელმწიფო-გაზეთი.

(დასასრული იქნება)



უცხოეთის ამბები.

მორტამ ამ ჟამათ დაითხოვა პოლიციის შემდეგი მოხელენი სამსახურიდან: გუსლონდამბეი, ჟანდარმების პოლკოვნიკი, ხუსნი-ბეი, პოლიციის მმართველი და სოხლი-ფაშა, ჟანდარმერიის კორპუსის უფროსი. ამას ყველა თანაგრძნობით მიეგება, რადგან ამ პირებს ძლიერ ცუდი სახელი ჰქონდათ დავარდნილი; მაგრამ მეორე მხრით ყველანი გაკვირებული არიან, რადგან პირველი მათგანი დანიშნეს ჟანდარმების უფროსათ ძველ სერბიაში და დაარჩინენი ორი ლუბერნატორებათ პროვინციებში.

— საადლინ-ფაშის უკან დაბრუნების გამო კუნძულ კრიტიდან გაზეთი „Daily News“-ი აი რას ამბობს: საგანგებო კომისარი საადლინ-ფაშა, რომელიც გაგზავნილი იყო კუნ. კრიტზე სამოქალაქო გუბერნატორ ბეროვიჩ-ფაშას და ადგილობრივ ჯარების სარდალს შუა უთანხმოების ასაცილებლათ, თურმე სულ სხვა მიზანს მისდევდა. კუნძულზე მისვლისთანავე მას მოუწვევია ადგილობრივი ცნობილი მახმადიანები საიდუმლო კრებაზე და თითოევე მას წარუდგენია იმათთვის ხელის-მოსაწერათ თხოვნა, რომელიც სულთანს უნდა მიეცეს. ამ თხოვნაში გამოთქმულია, რომ ადგილობრივი მახმადიანება ეწინააღმდეგებიან რეფორმების შემოღებას კუნძულ კრიტზე.

— სოფიიდან იწერებიან, რომ იქ მიიღეს სარწმუნო ცნობები სულთანათ ნამყოფი მურადის გაქცევის შესახებ. ტუსადის გაქცევისათვის ხელი შეუწყვია მის ექიმს, იტალიელს. 11 დეკემბერს (ახალი სტილით), ღამით ისინი სხენაიხათ ჩაცმულები ორივე ჩამსდარან ერთ პატარა იტალიელ გემში. ამ ჟამათ გაქცეულები იქოუვებან ერთ პატარა იტა-

ლიის ქალაქში. ოსმალეთის მთავრობა ყოველ დღის-ძიებას ხმარობს ეს ცნობა დაფაროს. მურადის გაქცევიდან შემოწა ოსმალეთის დღევანდელი სახელმწიფოს დასის გამოგონილი ამბავია. მურადი ითვლება კანდიდატათ ოსმალეთის ტახტზე ახალგაზდა დასის მხრით. ამ გაქცევას მეტათ შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოუხდენია სულთან აბდულ-ჰამიდზე.

— 10 დეკემბერს გამოქვეყნებულია სულთანის ირადე, რომლითაც სომხებს ენიჭებათ საერთო ამინსტია (პატიება), რომლიდანაც გამორიცხულია მხოლოდ 84 სიკვდილით დასაჯელნი. ეს პირები დამწყვედელი იქნებიან. იმათ რიცხვში არიან ორი ეპისკოპოსი, რომლებსაც გაგზავნიან დასამწყვედევთ იერუსალიმის მონასტერში.

— სტამბოლში ამ დღეებში კიდევ დაუტყვევებიათ 100 კაცი, რომლებსაც ახალგაზდობას მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას სწამებენ.

10 დეკემბერს ელჩებს ჰქონდათ საერთო ბჭობა.

— საფრანგეთის გაზეთები ბ. ნელადოვის დაბრუნების გამო სტამბოლში დარწმუნებით ამბობენ, რომ ამ ჟამათ სახელმწიფოებს 'მოკრის სრული თანხმობა ჩამოეარდა ოსმალეთის საქმეების შესახებ. ოფიციალური ორგანო „Le Temps“-ი დანამდილობით ამბობს, რომ რუსეთის ელჩის დაბრუნება ოსმალეთის სატანტო ქალაქში „უკანასკნელ მობილიზაციას (შერყევას) გამოიწვევს ევროპის დიპლომატიაშია“. გაზეთი დასძენს: „ევროპა, როგორც ჩვენ გვარწმუნებენ, სრულიად შეთანხმებულია (concert absolu) იმ ზომების შესახებ, რომლებიც პორტუს უნდა წარუდგინოს; თუ საჭიროება მოითხოვს, პორტუს ძალას დაატანებენ იმათი განხორციელებისათვისა“.

— საბერძნეთის მეფემ ამას წინეთ მინისტრ-პრეზიდენტს, ბ. დელიანის, წერილით თავის სურვილი განუცხადა, რომ მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ჯარების გაძლიერების პროექტის შემუშავებას და სამუდამო ბანაკის მოწყობას. ამ წერილმა ძლიერ დიდი შთაბეჭდილება იქონია ყველგან. ამის შესახებ ათინის პალატას ამ ახლო ხანში დაეკითხებიან. ბერლინის გაზეთებს არ მოსწონთ საბერძნეთის მთავრობის ამგვარი განზრახვა.

— „St. James Gazette“-ი იუწყება, რომ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა თავის ხმელეთის ჯარის გაძლიერება. როგორც ვიცით, ჯარებს აძლიერებენ ამ ჟამათ საფრანგეთშიაც და ისეთ პატარა სახელმწიფოშიაც, როგორც შვეიციაა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

განცხადება

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 14 დეკემბერს 1896 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ საფანჯარა-აბაშიძის, ავალიშვილის, ალექსიევი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

ჰამლეტი

ტრ. ნ. მკ. შექსპირისა.

II

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, საფაროვი-აბაშიძისა, და სხვ. ბ.ბ. ალექსიევი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, კარბელი, საფაროვი, აღმიძე, თამაზიშვილი და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი. ვ. ს. ალექსიევი-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი ვ. შათირიშვილი.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორკვირულ გამოცემათა მართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

ფასი უტურნალისა:

- 12 თვით „მწყემსი“ 3 მ. | 6 თვით „მწყემსი“ 2 მან.
- „ორივე გამოცემა“ 5 „ | — „ორივე გამოცემა“ 3 „
- „რუსული“ 3 მ. | — „რუსული“ 2 მან:

მიიღება ხელის მოწერა 1897 წლისათვის ერთნაირად
ახალ ქართულ ყოველ დღიურზე

„ცნობის ფურცალზე“

მომავალ წელს გამოვა მრავალის სხვა-და-სხვა ცნობებით საქართველოს ყველა კუთხიდან.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა ყოველ დღე კვირის უქმეების შედეგად უფრო დიდის ზომისა.

წლიურ ხელის მიმწერთ

გაზეთთან ერთად გაეგზავნებათ უსასყიდლოთ ამ წლის დეკემბრის თვიდან

საპარტიველოს კალენდარი 1897 წ.

კალენდარი დასურათებული იქმნება მრავალ გვარ ნახატებით და ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებით. კალენდარი შეიცავს 500-ზე მეტ გვერდს დიდის ზომისა

გაზეთის ფასი: ერთი წლით 6 მან., ნახევარ წლით 4 მან.

(სხვა კადით ხელის მოწერა არ მიიღება)

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპეიკი

მანცხადებლის ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეორეზე 5 კაპ.


შელავათი ხელის მომწერთათვის

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც წლიურ ფასის სრულით შეჰმეტანა გაუძნელებათ, რედაქცია შედაკათს აძლევს: ხელის მოწერის ღირს 2 მან. წარმოადგინოს და მერე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, კიდრე წლიურ ფასს შეასრულებდეს.

პირველ იანვარიდან გაზეთი მხოლოდ იმას მიუყვება, ვინც დეკემბერშივე გამოაცხადებს თავის სურვილს გაზეთის გამოწერაზე.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская ул. № 13

Редакция „ЦНОВИСЪ ПУРЦЕЛИ“.



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

на 1897 годъ.
(четырнадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ
съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ 10 р. — к.	На 2 мѣсяца. 2 р. 75 к.
„ 6 „ . . . 6 „ — „	„ 1 „ . 1 „ 50 „
„ 3 „ . . . 3 „ 50 „	

Заграницу на годъ 17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца 5 р.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца.

Для годовыхъ подписчиковъ какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится— 3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Лица, подписавшіяся теперь на будущій годъ, получаютъ газету бесплатно въ текущемъ году со дня подписки.

Подписка принимается: въ Тифлисѣ—въ редакціи „Нов. Обоз.“, Бяригинская ул. № 8; въ Баку—въ типографіи „Ароръ“; въ Батумѣ—въ книжномъ агентствѣ М. И. Николадзе; въ Кутаисѣ—въ книжныхъ магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.

ОТЪ РЕДАКЦІИ.

Открывая подписку на будущій годъ, редакція „Нов. Обоз.“ считаетъ нелишнимъ заявить, что всѣ сотрудники (за немногими исключ.), которые принимали участіе въ нашей газетѣ до сихъ поръ, примутъ участіе въ ней и въ будущемъ году. Кроме того, намъ обвѣщали сотрудничество нѣкоторые Петербургскіе литераторы: Д. Н. Маминъ, М. А. Протопоповъ (критикъ), В. Вересаевъ (сотрудникъ „Русскаго Богатства“) и др. Нашъ лондонскій корреспондентъ Л.—вичъ, временно прекратившій участіе въ „Нов. Обоз.“, въ скоромъ времени возобновитъ печатаніе у насъ своихъ политическихъ писемъ. Печатаніе специальныхъ телеграммъ изъ Петербурга и отчасти изъ главнейшихъ центровъ Закавказья будетъ продолжаться круглый одъ.

Но улучшение литературнаго и политическаго отдѣловъ нашей газеты не отвлечетъ насъ отъ главнѣйшей нашей задачи—отъ обсужденія мѣстныхъ, кавказскихъ вопросовъ, состоящихъ на очереди, и отъ сообщенія возможно полныхъ свѣдѣній о событіяхъ мѣстной жизни. Мы заручились постоянными корреспондентами не только въ главныхъ городахъ Кавказскаго края, но и въ нѣкоторыхъ второстепенныхъ его пунктахъ. Многое зависитъ въ данномъ случаѣ, конечно, отъ содѣйствія мѣстныхъ дѣятелей, голосъ которыхъ мы будемъ продолжать выслушивать съ особеннымъ вниманіемъ. Пользуясь ихъ сочувствіемъ, мы съ своей стороны ни минуты не будемъ забывать, что газета должна совершенствоваться съ каждымъ днемъ; мы будемъ стремиться къ тому, чтобы читающая публика получала возможно болѣе матеріала, обработаннаго и правильно освѣщеннаго, при чемъ никогда не перестанемъ руководствоваться той основной точкой зрѣнія, которая ясна для всякаго, что внимательно слѣдитъ за нашей газетой.

ივერია

გამოვა 1897 წელსაც

იმავე პროგრამით, რომელიც წინათ.

გამოვა მხოლოდ 17 იანვრიდან, უოკელ დღე, გარდა იმ დღეების, რომელიც ზედ მოსდევს კვირუქმებს.

ფასი გაზეთისა:

11 თვ. და 13 დღ. 9 მ. 60 კ	6 თვით 6 მ. — კ.
11 „ 9 „ 50 „	5 „ 5 „ 50 „
10 „ 8 „ 75 „	4 „ 4 „ 75 „
9 „ 8 „ — „	3 „ 3 „ 50 „
8 „ 7 „ 25 „	2 „ 2 „ 75 „
7 „ 6 „ 50 „	1 „ 1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

თბილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შედეგის აღკვეთით:

ТИФЛИСЬ. Редакція „ИВЕРІА“.

თფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქუჩა № 21. „ქართულთა შორის წეკ-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართულ თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ თბილისში დაბარებული გაზეთი თბილისს გარეშე აღრესზე შეცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში 1 მ. ხოლო თუ ქალაქ გარეთიდან სხვა ადგილს გადაეღა სადმე, ქალაქს გარედვე — უნდა წარმოგზავნოს 40 კ.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი ანა მთელის წლით, მას გაგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდან, რომელსაც დაიბარებულა აღნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოთ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხი თვის ფასი—3 მ. და 33 კაპ. (კაპიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს იმას მიუფა გაზეთი შეიღის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდან.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენსამე თვით, იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდან.

სარედაქციო მუშაობა 15 დეკემბრიდან დაიწყება

1897

„მოაზგე“

თ ვ ი შ რ ი შ უ რ ნ ა ლ ი

(წელიწადი მეოთხე)


გამოვა იმავე პრეტყვამით

ფასი შურნალისა გაზაფხვით:

რუსეთის ჭკვასიის ქალაქები:	საზღვარ გარ. ქალაქებში:
ერთი წლით . . . 10 მან.	ერთი წლით . . . 13 მან.
ექვსი თვით . . . 6 ,,	ექვსი თვით . . . 7 ,,
სამი თვით . . . 4 ,,	სამი თვით . . . 5 ,,

ვისაც წლიური ფასის ერთით შემოტანა ეძნელებათ, შეუძლიათ შემოიტანონ: 1 იანვარამდე — 4 მან., 1 აპრილამდე — 3 მ. და 1 სექტემბრამდე — 3 მან.

რადგან იანვრის 16-ში გამოვა 1 პირველ იანვარს, რედაქცია უძღვრის სანთს თხოვს ჟურნალის გამოწერას მსურველთა დეკემბრამდე დაიკეთონ, რათა რედაქციამ მოასწროს დროზე ნომრების გაგზავნა.



კარგო საავითარებო აგულაბოროდითურთ მამი, ს. მ. თოფურიასი. ჟ. შუბაიძისი.

საავითარებოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ, შინაგან სენით და თვალებით ავთმყოფთათვის. გადამდებ სენით ავთმყოფნი არ მიიღებია. მოსიარულე ავთმყოფნი მიიღებია კოველ დრე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს: ექ. ს. კ. თოფურია.

ხირურგიული, შარდით და ათამაგით ექ. ფ. კ. გერცატი.

დრედაკატურ ავთმყოფთ და საბებიოს ქალი — ექიმი. მ. ფ. გვანია.

თვალებით ავთმყოფებს — ექიმი ი. კ. ვარშავსკი. ამბულატორიასთან არის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კაბინეტი. იქვე შეიძლება წამლობა ელექტრონული ძალით და მასაჟით.

საავითარებოს დირექტორი ს. კ. თოფურია. (10-8)

„კალმოსავლეთის მაღაზრია“

ქართულნი

პატივი მაქვს ვაუწყო საზოგადოებრივ ქმედებად კალმოსავლეთის მაღაზრია რომელიც განსაკუთრებთ ივანეშვილს გავასიის, იანვრის და საზოგადოთა კალმოსავლეთის საუცხოოთ დამზადებულ ნაწარმოებით. თბილისში ლორის-მედიკოვის ქუჩის სემინარიის პირდაპირ № 4.

ი. ნ. პეტრევიძე.

ექიმი გ. ი. ბაღრიძე


მიღებს ავთმყოფებს შუადღის 12 საათიდან 3 სათამდე. კირპიის ქუჩის სიმონოვის შესახვევში სახლი არაქელოვისა.

კანსერი და გლუხოვსკი

თბილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯვეს სახლი (ეზოში).

ახლათ გაღებული ქანსერის საწყოები

საპირაპი გაუინაპი



ჩამდვილის

ზინგერ-ნათმანისა

და სსკვ გამოჩენილი სისტემის მშენებნი: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქანსერისა.

(25-4)